3-47-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟიმნელი

1928 სახელგამი № 10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„პიონერის“

რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე:
ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22

(საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობა)

ყოველგვარი მიწერ-მოწერა, რომელიც ჟურნალის საკითხებთან არის დაკავშირებული, ამ მისამართით უნდა იქნას წარმოებული

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

		ᲒᲒ.
1.	ალენუსხოთ ჩვენი მუშაობა სკოლაში	2
2.	ლუიჯი—**ს. ერთაწმინდელის**	3
3.	სანაპირო ქალაქი — **ს. კასრაძის**	8
4.	ნაპოვნი—**კ. კალანდაძის**	13
5.	პიონერთა ბანაკის მოწყობა—**მ. გორგაძის**	15
6.	ალექსანდრე დიმიტრისძე ციურუპა	15
7.	ბავშთა საერთაშორისო მოძრაობა	16
8.	როგორ ჩატარდა ბავშთა საერთაშორისო კვირეული	17
9.	ჩვენი ცხოვრება და მუშაობა: დუშეთის საბავშო სახლების ცხოვრებიდან—**დუშელის**	19
10.	ჩვენი მეზობელი ქვეყნები: ოსმალეთი—**ალ. გორგაძის**	20
11.	ჩვენი სიმდიდრენი: საკვებ ნივთიერებათა და სელის წარმოება—**შ. ფარცხნალელის**	21
12.	ერთი ორ როლში ერთად	23
13.	როგორ იზრდება ვეებერთელა გოგრა	24
14.	ჭადრაკი	კანზე.

329.153(05)
პ-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1928
30 მარტი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის საქართველოს მ. ვ. ო. ცენტრალური მიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ქურნალი მაკავშვილისათვის

წელიწადი III
№ 10

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

პიონერები ბანაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვნუსხოთ ჩვენი მუშაობა სკოლაში

პიონეროორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს პიონერთა მუშაობა სკოლაში. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1927/28 სასწავლო წლის დასაწყისში კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საქ. განათ. კომისარიატთან ერთად მისცა ადგილებს დაწვრილებითი დირექტივები სკოლებში პიონერთა მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ.

თუმცა-ღა ამ დირექტივების განხორციელების დაწვრილებითი შედეგები ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება, ადგილების ოფიციალური ანგარიშებიდან ჩანს, რომ პიონერთა მუშაობა სკოლაში მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა.

რაში მდგომარეობს ეს გაუმჯობესება? 1) ქალაქის სკოლებში პიონერ-ფორპოსთა ქსელი საგრძნობად გაფართოვდა; 2) პიონერთა ინიციატივა და აქტივობა თვითმართველობის მუშაობაში და საერთოდ სკოლის ცხოვრებაში მეტად გაიზარდა; 3) პიონერთა ავტორიტეტი და გავლენა სკოლის შეუკავშირებელ ბავშებში გაძლიერდა.

თუ 1926/27 სასწავლო წლის დასაწყისში მთელ საქართველოში მხოლოდ 148 ფორპოსტი იყო, 1927/28 სასწავლო წლისათვის 178 ფორპოსტი გვაქვს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ კიდევ იმაზე, რომ როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებში ძალიან გაიზარდა პიონერთა კოლექტივების რიცხვი.

პიონერთა აქტივობის ზრდას სკოლებში ის გარემოება ამტკიცებს, რომ წელს განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევენ პიონერები სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს. ტფილისის ზოგიერთ სკოლაში პიონერ-ფორპოსტების ინიციატივით ეწყობა ცხელი საუზმე, მოსწავლეთათვის იმართება საბავშო საღამოები, იცემა კედლის გაზეთი, ეწყობა სხვადასხვა წრე და სხვა. გარდა ამისა, ტფილისის მთელ რიგ სკოლებში შემოღებულია სპეციალური ე. წ. საკლუბო დღეები და საათები, რომელთა მიზანია დაუახლოვოს სკოლების მუშაობა ბავშთა კომ. მოძრაობას.

აქედან გამომდინარეობს პიონერთა ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა არა მარტო მოსწავლეთა თვალში, არამედ თვით მასწავლებელთა თვალშიაც. სკოლის თვითმართველობაში ზოგ შემთხვევაში სულ პიონერები არიან გაყვანილნი, ან უმრავლესობას წარმოადგენენ. პიონერები დიდ აქტივობას იჩენენ სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში ჩასაბმელად (გზების დაა ხიდების შეკეთება, დახმარება ღარიბებს, წარმოების შესწავლა და სხვა).

რაც შეეხება სოფლის სკოლების პიონერკოლექტივების მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივაც ბევრი წარმატება გვაქვს. პიონერთა ძირითად ამოცანას სოფლის სკოლაში წარმოადგენდა და წარმოადგენს პიონერების აქტიური მონაწილეობა სკოლის სასწავლო ცხოვრების მოგვარებაში, ე. ი. პროპაგანდა ნორმალურ სასწავლო წლის სასარგებლოდ (მოწაფეთა მოცდენის გამომწვევ მიზეზთა წინააღმდეგ ბრძოლა) და მოსწავლეთა შორის სასოფლო-სამეურნეო აღზრდის გაძლიერება. კერძოდ პიონერებს დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ღარიბი ბავშების სკოლაში ჩაბმის მხრით.

ამგვარად, პიონერებს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში უაღრესად დიდი მიღწევები აქვთ. ფორპოსტები და პიონერკოლექტივები სკოლაში, როგორც ყველაზე უფრო შეკავშირებული ერთეულები, უდიდეს როლს შეასრულებენ სკოლის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ—სასარგებლო მუშაობაში.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ აუარებელი ნაკლიც გვაქვს. მთავარი ნაკლი ისაა, რომ პიონერები, როგორც მ[illegible]ავე ელემენტები, ჯერ კიდევ ყველგან არ არიან [illegible]ძაგრებული. ზოგ შემთხვევაში პიონერი სავსებით გა[illegible]ოილია მოსწავლე ბავშებში იმ მხრივ, რომ იგი ა[illegible]არ აქტივობასა და თვითმოქმედებას არ იჩენს სკ[illegible]ლის ცხოვრებაში, მას არ აინტერესებს მოწაფეთა ცოდნის მდგომარეობის გამორკვევა და ჩამორჩენილთათვის დახმარების აღმოჩენა, ვერ არის მაგალითის მომცემი დისციპლინაში და სხვა. ცხადია, ასეთი პიონერებით ჩვენ შორს ვერ წავალთ.

ამიტომ თითოეული პიონერისა და მოწაფის ამოცანას წარმოადგენს ამ სასწავლო წლის დამთავრებამდე ფართედ გამოამჟღავნოს ყველა ჩვენი ნაკლი, რანაირი წვრილმანიც გინდა იყოს იგი. თუ ყველა ნაკლს აღვნუსხავთ, თუ ყველა პიონერი დაიხსომებს და შემდეგი სასწავლო წლისთვის შეეცდება წრევანდელი უარყოფითი მხარეების გამოსწორებას, მაშინ შემდეგი წელი უფრო დიდ მიღწევებს მოგვცემს. ჟურნალი „პიონერი“ დიდი სიამოვნებით მიიღებს და გააშუქებს თავის ფურცლებზე ადგილებიდან გამოგზავნილ მასალებს წრევანდელი უარყოფითი მხარეებისა და მიღწევების შესახებ.

თითოეულ პიონერს და მოწაფეს უნდა ახსოვდეს, რომ ამ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ დიდი მუშაობა მართებს სოფლად თუ ქალაქად.

„პიონერი“ იმ მასალებსაც, თუ რა გააკეთეს პიონერებმა და მოწაფეებმა ზაფხულში, რა მუშაობას ეწეოდენ და ვის სასარგებლოდ,— ფართედ გააშუქებს თავის ფურცლებზე.

ახლა კი სიტყვა თქვენ გეკუთვნისთ.

(ნეაპოლის სურათები)

ა.

— ადე აქედან! დაიკარგე!—უყვირა ჟანდარმმა ნეაპოლის სადგურის ბაქანზე ჩაძინებულ ლუიჯის და ფეხი ამოჰკრა.

— აჰ!!! — დაიკვნესა ტკივილისაგან ბიჭმა და ნამძინარევი თვალები დააჭყიტა შიშით... რა ახედა მის წინ მდგომ მრისხანე სახის გამომეტყველების ჟანდარმს, წამოხტა და გაიქცა რონოდებისკენ, სადაც კინაღამ რომიდან ელვის სისწრაფით მომქროლ სწრაფ მატარებელ „დირეტისსიმოს“ ქვეშ ჩავარდა, რომელიც პირველ ლიანდაგზე მოჰქროდა...

ლუიჯი სულ რამდენიმე საათის წინ ჩამოვიდა ნეაპოლში მახლობელ მშობლიურ სოფლიდან და რადგანაც პირველად იყო აქ, გზა არ იცოდა და პირდაპირ რკინის გზის ლიანდაგს დაადგა; და რა დაღლილი მიადგა სადგურს, ჩაიკეცა, ჩასთვლიმა და თავი ველარ გაართვა ძილს... აი, ამ დროს იყო, რომ წაადგა თავს ფაშისტი ჟანდარმი...

ჟანდარმისაგან დამფრთხალი ლუიჯი გარბოდა მოუხედავად, მაგრამ კი არ იცოდა საით... მას კარგად ესმოდა მხოლოდ ის, რომ ეს ჟანდარმები, ფაშისტები, სძულდა მის მამას და ალბათ ცუდები, დაუნდობლები უნდა იყვნენო,—ჰფიქრობდა ის...

ერთ ჩიხში მიგდებულ საქონლის ცარიელ რონოდაში, ამოჰყო თავი და, რადგანაც უკვე ბინდებოდა, გადასწყვიტა ღამე აქ გაეთია... და რა მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა, რომ აღარც ჟანდარმი მოსდევს და აღარც სხვა ვინმე ჩანს, მიწვა კუთხეში თივაზე და გვერდზე გადაკიდებული პატარა აბგიდან თან წამოღებული პურის ყუა მოსტეხა, მოშიებულ გულზე მადიანად დაიწყო ლუკმვა...

ნეაპოლი კი თავისი დიდი მოძრაობით და ჩვეულებრივი სიმხიარულით ხმაურობდა, ისმოდა ორთქლმავალთა გამუდმებული კივილი, რომელსაც შორი ნავსადგურიდან ბანს აძლევდენ გაშლილ ზღვაში მალიმალ გასვლად მზა ხომალდების საყვირები...

ლუიჯი გაიტაცა თავისი სოფლის მოგონებამ, ლამაზმა სურათებმა...

გაახსენდა მამა, დედიკო, ტოლები და ბებია ფრანცისკა, რომელსაც დილას ისე გამოეპარა, რომ არც კი უთქვამს სად მიდიოდა.

ბ.

მშვენიერი დილა [illegible] ისეთი, როგორიც ხშირია ხოლმე ნეაპოლის ახლო [illegible]ებში... მზე წითელი სიცილით გადმოადგა ამწვა[illegible]ლ ბაღებს და გადმოაფინა თავისი ოქროსფერი [illegible]ალალები... მანდარინების ხეთა ხეივანში, რომელსაც გვერდზე კოხტად რგული ზეთისხილის ხეები მისდევდენ და დაბლა ხალისიანად მოლიკლიკე რუს ნაპირებზე ის იყო გაშლას აპირებდენ ფერადი კომბოსტოები, დედას ხელდაჭერილი მიჰყავდა ლუიჯი შარაგზაზე გასაყვანად, სადაც უნდა გამოევლო ომნიბუსით ლუიჯის მამას, პაოლო პერინის, რომელმაც გუშინწინ გამოგზავნა წერილი რომიდან, რომ ის ამოვა სოფელში.

— მალე მოვა მამა?—შეეკითხა ლუიჯი და თავისი ცისფერი თვალები ღიმილით შეანათა დედას.

— მალე, ალბათ, მალე, გენაცვალე...—მიუგო დედამ და ხელი თვალებზე მიიჩრდილა და გაჰხედა რომიდან მომავალ სწორ გზას, სადაც შორს შეამჩნია ავარდნილი მტვერი და სახე გაუნათლდა...

— აგერ, ვგონებ, ომნიბუსიც მოდის,—წამოიძახა ანჟელიკამ...

პაოლო პერინი მუშა იყო, მარმარილოს მთლელი და მუშაობდა პიეტრო-პაულის ქუჩაზე მდებარე პიო სალვიოს სახელოსნოში, მაგრამ პატრონის მიერ ათვალისწუნებული იყო კომუნისტური აზრებისათვის. თუ ფაშისტურ პოლიციას არ აძლევდა ხელში მხოლოდ იმიტომ, რომ პაოლო კაი ხელოსანი იყო და არ უნდოდა თავისი ზარალი.

პაოლოს ცოლშვილიც თანა ჰყავდა რომში, პატარა ოთახი ჰქონდა ნაქირავები, მაგრამ რა ხშირად მაინც არ სტოვებდა პოლიცია მას მშვიდად, თითქმის ყოველ კვირა სჩხრეკდა ეჭვით, აწიოკებდა, ცოლშვილი სოფელში დააბინავა და თვითონ ამხანაგთან გადასახლდა მორენოზე და კვირაობით ან უქმე დღეებში თვითონ ამოვიდოდა ხოლმე სოფელში...

ამ ბოლო დროს კი, რა ფაშისტებმა ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში, დაარბიეს მუშათა კავშირები, კომუნისტური გაზეთი ხომ აღარ გააჭაჭანეს, ფაშისტებმა პაოლო პერინიც დაინდეს, იგი შარშან ორჯერ იყო დაპატიმრებული რევოლუციონური მუშაობისათვის და რადგან წელს უფრო გააძლიერეს მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა, ფაშისტებს უკვე ანგარიშზე ჰყავდათ აყვანილი...

3.

ნეაპოლის მიდამოების მუდამ გაკრიალებულ ლურჯი ცის თაღზე უდაბნოში გაბმულ აქლემთა ქარავანივით მოჩანდა გრძლად გაწოლილი ღრუბელი, მაგრამ ღრუბელი კი არა, არამედ ორთქლი, რომელიც მუდმივად სდის ჩაუქრობელ ვეზუვის ხახას, ერთიმეორეზე მიწყობილ სამ მთას, რომლებიც ისე მოჩანან ლუიჯის სოფლიდან, თითქოს ერთიმეორეს ეფარებიან და ვისმეს ემალებიანო...

მზე უკვე საშუადღეოზე აგორდა, რომ მესამე ომნიბუსი გაჩერდა და იქიდან გადმოვიდა მამაკაცი...

— პაოლო!—შეჰყვირა ანჟელიკამ და გაექანა ქმრისკენ, შეხვეული საბანი და ბალიში ჩამოართვა.

— მამა!—იკივლა ლუიჯიმ და კისერზე ჩამოეკონწიალა...

პაოლომ გადაჰკოცნა შვილი და ხმა არ ამოუღია, ისე გადავიდა ღობეზე და გასწია თავისი პატარა სახლისკენ, სადაც ფრანცისკას ქათმებისთვის საკენკი დაეყარა და კიბეზე ჩამომჯდარი კაბას იკერებდა...

ნორვეგიელი პიონერი.

— ღღეს რომ კვირა არ არის, შვილო, და არც რამ უქმე, რაზე ამოსულხარ? იქნება კიდევ რამე მოგიხდა?—უთხრა დედამ, რა გადაეხვია და მიუალერსა პაოლოს...

— არაფერია, დედა... უნდა გავუძლოთ ყველაფერ გასაჭირს... მე აღარ მინდა ციხეში ყოფნა და ამიტომ მივატოვე რომი, მე აღარ მინდა ჩემს მხარეში ცხოვრება, მე მინდა თავისუფალი ვიყო, მე მინდა იმ ქვეყნის ნახვა, ხილვა, დაკოცნა იმ მიწის, რომელსაც ჰქვიან ყველა ქვეყნის მშრომელთა სამშობლო!..

— სადაა ის ქვეყანა?

— ისაა შორს, ჩრდილოეთში, რომელსაც ჰქვიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი...

— მერე, მამა, მე? დედა? ბებია? მარტო უნდა ვიყოთ?—უთხრა ლუიჯიმ მამას და უფრო მაგრად ჩაეკრა გულში...

— არაფერია, დედა, როგორმე უნდა აიტანო... მუდამ ხომ ასე არ ვიქნებით, ალბათ ამ მტარვალ მუსოლინისაც მოეღება ბოლო, აქაც ამობრწყინდება მალე მშრომელთა თავისუფლების მზე და ისევ აქა მნახავთ... თუ არა ამ ხანაგების დაჟინება, რომ დროებით თავი გავცილდე აქაურობას, შეიძლება მე არც კი გადამეწყვიტა წასვლა, მაგრამ... წავალ, იმ ქვეყანაში მე უფრო კარგად შევისწავლი, თუ როგორ უნდა ასეთ მტარვალებთან ბრძოლა... ის ხალხი გამოცდილია უამრავ ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს თავის მხრებით დაჰქონდათ რევოლუციები... ისინი მიმიღებენ შორეულ სამხრეთელ ძმას, მასწავლიან ბრძოლას და ისე გამომისტუმრებენ...

4.

— კარგია ის ქვეყანა, მამა?

— ო, ძალიან, ძალიან, ჩემო პატარა ბიჭიკო... ალბათ კარგია, რომ, ვინც იყვნენ და ჩამოვიდენ, ყველა აქებს... იქ ფაშისტები კი არ არიან სათავეში, არამედ მუშები. მთელი ძალა-უფლება მშრომელთა ხელშია, სწავლა-განათლება ყველასათვისაა, თავისუფლება ყველაზე ძალიან მათ უყვარდათ და აკი მოიპოვეს კიდეც... იმათაც ჩვენსავით ჰყავდათ მეფე, მინისტრები, ჟანდარმები, ბურჟუები, მაგრამ აჯანყდენ, რევოლუცია მოახდინეს, ყველანი გარეკეს და ახლა თვითონ არიან თავისი ბატონ-პატრონი... ის ქვეყანა უყვართ ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, დამონავებული კოლონიების ხალხს და მეც იმიტომ მიმიწევს იქით გული... მაგრამ არ უყვართ ჩვენსა და სხვა ქვეყნის მეფეებს, ბურჟუებს და ფაშისტებს, იმიტომ, რომ ეშინიათ იმათი დახმარებით მათმა შემყურეებმა აქაც ისეთი დღე არ დავაყენოთ მაგათ... აბა

შენ რომ იქ იყო, განა აქამდე ეგრე უსწავლელი მეყოლები? იქ ყველა შენი ტოლი სკოლებშია უკვე, იქ არის ჯერ საბავშო ბაღი, სადაც მშრომელთა სულ პატარა ბავშები იზრდებიან, თამაშობენ, მღერიან, ვარჯიშობენ, მერე, ცოტა რომ მოიზრდებიან, შრომის სკოლებში სწავლობენ; ოქტომბრელებს ეძახიან მათ, იმიტომ ეძახიან ასე, რომ იმ ქვეყანაში რევოლუცია მოხდა ოქტომბერში და ბავშებსაც ოქტომბრის შვილებს, კომუნის ყვავილებს ეძახიან.

და პაოლომ ბევრი კიდევ სხვა უამბო, რომლითაც საამაყოა საბჭოთა კავშირი... ისეთი აღტაცებით მოუთხრობდა მამა ლუიჯის, რომ ბავშის სანატრელი და საოცნებო მხოლოდ ისღა იყო, რომ ენახა საბჭოთა კავშირი და თვითონაც პიონერი გამხდარიყო, პატარა წითელი დროშა აეღო ხელში და სხვებთან ერთად ევლო ქუჩებში სიმღერით; ის რამდენჯერმე შეეხვეწა მამას, რომ თან წაეყვანა ისიც...

Ე.

გარეთ ბაბრიამ დაიყეფა, რა მოაჯირზე ვიღაც გადმოხტა...

— ვგონებ დროა... მოვიდა პიეტრო, ჩემი წამყვანი-..—ჩაილაპარაკა პაოლომ და რა ადგა, კარზე ნელი კაკუნი მოისმა...

— აა, პიეტრო, შენა?—შეეკითხა პაოლო და კარს ურდული გადუგდო, გააღო, მაგრამ ელდანაკრავმა უკან დაიწია...

მის წინ ვიღაც იდგა ლეგა მანტიით მხარზე, ნიღბით და რევოლვერით ხელში...

— პაოლო პერინი? — შეეკითხა ის მრისხანედ...

— დიაღ, მე გახლავარ! რა გნებავთ?

— როგორც კომუნისტს და საბჭოთა კავშირში გამგზავრების მოსურნეს, მოვედით ხელი შეგიწყოთ, კარეტა მზად გახლავს...—უთხრა უცნობმა დაცინვით და ნიღაბი მოიხადა...

პაოლომ იცნო ფაშისტი, მილიციის კომისარი გუმბეტო ტერაჩინი, რომლის ხელშიც უკვე ორჯერ იყო დაპატიმრებული...

— აბა, გასჩხრიკეთ! — მიუბრუნდა ის მასთან მხლებელ ორ პოლიციელს, რომლებიც აგრეთვე ლეგა მანტიაში იყვნენ...

— ჰმ... ეს უკვე მეხუთედ მჩხრეკენ...—ჩაილაპარაკა პაოლომ და გადახედა ნაღვლიანად დედას, ცოლს, შვილს, თითქოს უნდოდა უხმო გამოთხოვებით რამე უთხრასო; ის თითქოს გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი იყო მისი სახლში ყოფნა... იმან იცოდა, თუ რას ნიშნავდა ფაშისტების დაცემა ნიღაბით; ასე წაყვანილი კაცის ასავალ-დასავალი ველარ გაიგებოდა...

— აბა, წამომყეთ!—უბრძანა მან პაოლოს და წავიდა კარისკენ, პოლიციელნი კი, რომელთაც ჩხრეკით ვერაფერი აღმოაჩინეს, აქეთ-იქით ამოუდგენ პაოლოს.

— ნახვამდე, დედა... ანჟელიკა, ბავშს მიხედე, ის აღზარდე და უამბე ყველაფერი, თუ როგორ ექცეოდენ მის მამას...—და რა ეს უთხრა ცოლს, ბავშისკენ მიიწია გადასაკოცნად, მაგრამ ორმა პოლიციელმა მაგრად სტაცა მკლავებში ხელები და არ გაუშვა...

პაოლო აენთო, სიბრაზისაგან თვალები დაუბნელდა... რას ფიქრობდა, სად აპირებდა წასვლას და სად მიჰყავთ? ან გზაში მოკლავენ და სადმე მიმალავენ, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგონ, ან კიდევ აფრიკაში, კირენაიკაში, ტრიპოლში გაგზავნიან მაღაროებში სამუშაოდ... და თვითონაც არ ახსოვს, თუ როგორ აღმართა მუშტი და საშინელის სიმძიმით დაუშვა ერთ-ერთ პოლიციელს თავზე, რომელიც დარეტიანდა, დაბარბაცდა და გაიშხლართა იატაკზე...

— აა, ეგენიც შეგიძლია?!—დაიღრიალა კომისარმა და რევოლვერმაც იელვა...

— ააჰ!.. დედა... საყვარელო ანჟელიკა... ლუიჯი...—და ამ სიტყვებით თვალები ჭერს მიაშტერა, გულიდან ნაშადრევნევმა სისხლმა იხეთქა...

რევოლვერის ხმაზე და ქალების წივილზე ლუიჯი შეშინებული წამოხტა და მორთო ტირილი...

დედა და ცოლი დასტიროდენ პაოლოს, ლუიჯი კი მუშტებს ულერდა იმ უცნობებს, რომლებმაც მამა მოუკლეს და ღამის სიბნელეში გაჰქრენ...

Თ.

— აი, ჩემო ლუიჯი, შენ რომ გაიზრდები, მაშინ იძიე შური მამაშენის მკვლელებზე და მისგან დაწყებული საქმე შენ დაამთავრე. დედაშენიც ხომ ჯავრმა იტანა...—ეუბნებოდა ბებია ფრანცისკა ამ მომხდარი ამბიდან ერთი კვირის შემდეგ.

— ვფიცავ, ბები, რომ აღვასრულებ... მე წავალ იქ, სადაც მამა აპირებდა წასვლას, იქ პიონერი გავხდები, ვისწავლი ბრძოლას, დავბრუნდები აქ და მაშინ ნახონ ფაშისტებმა!..—მიუგო ლუიჯიმ და მუშტები შეიქნია რომისკენ...

დაიწყო მარტოობა ლუიჯისთვის, ობლობის საშინელება... აღარც მამა, აღარც დედა, ბებია მუდამ სტირის, და ბავშს აუტყდა ფიქრები იმ ქვეყანაში გამგზავრების, სადაც მამა აპირებდა წასვლას და ერთ დილას, როდესაც ბები ბაღში შევიდა ფორთოხლის მოსაკრეფად, გადიგდო აბგა გვერდზე, გამოიღო განჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები ვარჯიშობენ.

ნიდან ორი პატარა პური, მანდარინა, კარაქი და დაადგა შარა გზას ნეაპოლისკენ, რომელიც არც ისე შორს იყო...

ნეაპოლში იმიტომ წავიდა, რომ იცოდა იქ ზღვა იყო, ნავსადგური და, მაშასადამე, ის გემებიც იქნებოდა, რომლებიც მიდიან გიბრალტარისკენ, აფრიკისკენ, დარდანელისკენ და ყველა იქითკენ, რომლებზედაც არა ერთ ზღაპრებს ელაპარაკებოდა ხოლმე ბებია და ერთ-ერთი გემი ალბათ საბჭოთა კავშირშიაც იქნება მიმავალი. შეეხვეწება კაპიტანს, მეზღვაურებს, რომ უნდა ის ქვეყანა ნახოს, სადაც პიონერები არიან და სადაც ბრძოლას ისწავლის, რომ დაბრუნდეს ისე იტალიაში და გადაუხადოს მამის მკვლელ ფაშისტებს სამაგიერო...

ასე ალალბედად დაადგა გზას ლუიჯი და ამ ფიქრებში ჩაეძინა ახლა თივაზე რონოდაში...

— საბრალო ბები, ვინ იცის, როგორ მეძებს...

ესღა ჩაილაპარაკა და ხვრინვაც ამოუშვა...

ზ.

უკვე კარგად გათენდა, რომ ნეაპოლის ვიწრო ქუჩებს გაჰყვა...

გეზი ნავსადგურზე აიღო...

იქით, საითაც ისმოდა ზღვის ტალღათა ტყლაშუნი ნაპირებზე, თითქოს ურმის კოფოზე მჯდომი მეურმე საყევრის ხარებს გრძელ შოლტს უტყლაშნებსო...

ხალხი, ურმები, ორთვალები, მებარგულენი, მეხილენი, მეწვანილენი და მეეტლენი ირევიან ქუჩებზე. ლუიჯის ქალაქს შეუჩვეველი თვალები ერევა, არ იცის, როგორ აუხვიოს ამდენ ზღვა ხალხს...

შუადღეზე უკვე ნავსადგურში იყო...

საშინელი სიცხე იყო, როგორიც ხშირია ხოლმე ნეაპოლში, და ქუჩებს ბუღი ასდიოდა; მხოლოდ ზღვას მოჰქონდა ცხელი აფრიკის ქარი, რომელიც უნიავებდა ქოჩორს...

ლუიჯის წინ იყო გაშლილი მოლურჯ-მომწვანო ზღვა, რომლის მარმაშა ზვირთებზეც მიმოსცურავდენ თეთრი გედებივით აფრაგაშლილი ხომალდები... ნავსადგურში მრავალი გემი იდგა... მამისგან ჰქონდა გაგებული, რომ საბჭოთა კავშირის გემებზე წითელი დროშა ფრიალებს და ზედ ჩაქუჩ-ნამგალი ჩანს ხუთქიმიანი ვარსკვლავითო, ამაზე კი ნახევარი მთვარეა, მაშასადამე, ის არაა...

— საბჭოთა კავშირის გემი რომელია?—ჰკითხა ლუიჯიმ ერთ ჭრელქუდიან ნეაპოლელს, რომელმაც გაკვირვებით შეხედა ლუიჯის და ჰკითხა:

— რად გინდა, პატარავ?

— ისე... მინდა ვნახო...—უნდოდა ეთქვა, რომ იმ ქვეყანაში წასვლა უნდა, მაგრამ რა გაახსენდა, რომ ამისათვის მოჰკლეს მამა, შეჩერდა, გადაასხვაფერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგერა, შუქურასთან, განცალკევებით... — უთხრა ნეაპოლელმა და ხელი გაუშვირა მოშორებით რეიდზე მდგარ გემზე; რომელიც ამ დილას მოვიდა გიბრალტარის მხრით და რომელსაც დიდძალი ცნობისმოყვარე ნეაპოლელი შემოესია. ყველანი გაკვირვებით უყურებდენ გემს, რომლიდანაც მოისმოდა ახალგაზრდა მეზღვაურთა მხიარული სიმღერა. ყველას უკვირდა იმიტომ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ ენახათ იმ ქვეყნის გემი, რომელსაც ოდესღაც რუსეთის იმპერია ერქვა და რომლის ბაირაღზეც ორთავიანი შავი არწივი ეხატა... ეს პირველი გემი იყო გასაბჭოების შემდეგ, რომელზედაც ნელა ირხეოდა სისხლისფერი დროშა და ზღვის ლურჯ-მომწვანო ფონზე, ვით მწვანით მოსილ მინდორზე, ყაყაჩოს მოგაგონებდათ...

ლუიჯიც მივიდა იქ, ყური დაუგდო, თუ რას ლაპარაკობდენ ნეაპოლელები, რომლებიც მხიარულობით განთქმულნი არიან, და რა გემიდან მათზე უფრო მხიარული ხალხის სიმღერა შემოესმათ, გაკვირვებული იყვნენ...

თ.

— ძია, არ შეიძლება წამიყვანოთ თქვენს ქვეყანაში?—შეეკითხა ნაპირზე ჩამოსულ მეზღვაურებს, რომელნიც მიდიოდენ ქალაქის დასათვალიერებლად ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვით და მეთვალყურეობით, რადგანაც ცენტრიდან ჰქონდათ განსაკუთრებული საიდუმლო ბრძანება, რომ საბჭოთა გემის მეზღვაურები არ ჩამოეშვათ ნაპირზე და თუ ჩამოუშვებდენ, სასტიკი თვალყური დაეჭირათ, თორემ მათ თან დააქვთ გადამდები სნეულება, რომელსაც რევოლუცია და კომუნიზმი ეწოდებაო; მაგრამ ცნობისმოყვარე ნეაპოლელები ბუზებივით ეხვეოდენ მეზღვაურებს და თუ რომელიმე მათგანმა დამტვრეული რუსული იცოდა, ეკითხებოდენ საბჭოთა კავშირზე.

— მიშა, მოდი, შენ იცი იტალიური ენა და ნახე, რას ამბობს ეს ნეაპოლელი პაცანა...—გადაულაპარაკა ვანომ ამხანაგს, რომელიც ნეაპოლელებს ახსნა-განმარტებას აძლევდა...

— რა გინდა, პატარა ამხანაგო?—შეეკითხა ლუიჯის მიშა მის მშობლიურ ენაზე, რამაც ბავშის გაკვირვება და აღფრთოვანება გამოიწვია. ლუიჯიმ წამოიძახა:—მაშ, თქვენში იტალიური ენის მცოდნენიც არიან? მე აქვე ახლოს, ნეაპოლის მიდამოებიდან ვარ, იქ არის ჩემი სოფელი...—და ხელი გაიშვირა ვეზუვისკენ... ლუიჯი მოუყვა მამის ამბავს, მის სურვილს, დედის სიკვდილს, დაობლებას და თავის გადაწყვეტილებას, რომ რათაც გინდა დაუჯდეს, მოხვდეს საბჭოთა კავშირში, სადაც პიონერად ჩაეწერება, სადაც ასწავლიან ბრძოლას, რომ დაბრუნდეს და მამის მკვლელ ფაშისტებზე შური იძიოს...

მიშამ გადაულაპარაკა ამხანაგებს ლუიჯის ამბავი და სურვილი...

— როგორ; ჩვენში ცოტანი არიან პაცანები, რომ აქედანაც არ წავიყვანოთ?

— არა უშავს-რა, ჩვენი უდიდესი კავშირის მაგასაც დაიტევს...

— წავიყვანოთ...

გაისმა მხიარულ მეზღვაურებში...

— კარგი, პატარავ... ჩვენ აქედან გავალთ ზეგ საღამოს და მაშინ მოდი. წაგიყვანთ...—უთხრა მიშამ და თავზე ხელი გადაუსვა ალერსით.

— ძია, მე აქ არავინა მყავს და არ ვიცი ვისთან გავათიო ღამე... სოფელში კი ვეღარ დავბრუნდები, იქ ბები არის და აღარ გამომიშვებს... მე კი მინდა წამოსვლა და ბრძოლის წავლა...

— კარგი... იყავი... ამხანაგებო, აიყვანეთ გემზე... შენს ბების კი მივწეროთ, რომ აღარ დაგიწყოს ძებნა...—უთხრა მიშამ და ლუიჯის გამოჰკითხა სოფლის სახელი, ბებიას სახელი და გვარი...—აბა, დასწერე წერილი...

— წერა არ ვიცი, ძია...—მიუგო ლუიჯიმ.

მაშინ მიშამ აიღო და დასწერა...

— ჩვენში კი შენმა ტოლებმა წერა-კითხვა კარგად იციან, იქ სავალდებულოა სწავლა-განათლება...

ი.

ლუიჯის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მესამე დღეს გაისმა საყვირი და გემი დაიძრა; ამოვიდა კაიუტიდან ბაქანზე და უკანასკნელად გადახედა ნეაპოლს და შორს ვეზუვის, რომლის დაბლა კალთებზეც რჩებოდა მისი სოფელი და საყვარელი ბები... ის უკვე ორი დღელამე იყო, რაც ბაქანზე არ ამოსულიყო, რადგანაც მეზღვაურებმა გააფრთხილეს არავის სჩვენებოდა, თორემ არ გამოუშვებდენ, რადგანაც ჩუმად მიჰყავდათ...

ლუიჯის თუმცა გული სწყდებოდა, რომ სტოვებდა ნეაპოლს, სოფელს მანდარინის და ფორთოხალის ბაღებით, საყვარელ ბების, მაგრამ რა გაახსენდა მამა, დედა და შურისძიება ფაშისტებზე, და ის ქვეყანა, სადაც ისწავლიდა ბრძოლას, სადაც ყველა ლუიჯისთანა ბავშს შეუძლია თავის სამშობლოზე უკეთესად ცხოვრება, სწავლა, ბრძოლა,—ღიმილი გადაეკრა სახეზე...

ის მიდიოდა ახალ ქვეყანაში, აღთქმის ქვეყანაში, სადაც მზე ლუიჯისთანებს დაჰხარის, სადაც არც ფაშისტები არიან შავი ნიღაბებით და არც ტანჯვაა, სადაც ახალი ცხოვრება იქმნება თავისუფლების ამღერებით... და ლუიჯი ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, უხაროდა...

გემი კი ურჩი შუბლით მიანგრევდა ხმელთაშუა ზღვას, გასცურა პალერმო, მესინის სრუტე, ადრიატიკა და არქიპელაგის კუნძულებ შუა გასწია დარდანელის ბოღაზისკენ...

ლუიჯი უკვე მეორე კვირა იყო ზღვაზე და მოუთმენლად ელოდა საბჭოთა კავშირის ნავსაყუდელს ხუთქიმიანი შუქურათი...

ს. ერთაწმინდელი.

(ცხრაას ხუთი წლის ამბავი).

მატარებელი მიჰქრის

უკან დასტოვა მატარებელმა მთა-გორიანი ადგილები და ახლა დაბლობში მიჰქრის.

დაბლობი ჭაობიანია და ამ ჭაობში ხარობს დაუსრულებელი ლორთქო თხმელები, რომელნიც მსრბოლავი რონოდის ფანჯრებიდან ისე მოჩანან, თითქო მატარებელს ხტუნვა-ტრიალით მოჰყვებიანო.

გარდა თხმელებისა, ჭაობში ბუდობენ ბაყაყები და მუდამ, როცა გარემოს ეფინება სქელი და ნესტიანი ბინდი, ჰაერი უეცრად გრილი ხდება და ბაყაყები აბამენ გაუთავებელ ყიყინს.

ახლაც დაეშვა ბინდი.

ჰაერი ჩვეულებრივ გაგრილდა, და ბორბლების გრიალში ისმის ბაყაყების ხმაური.

ბინდი რონოდებში შემოიჭრა და მგზავრები ძლივს არჩევენ ერთმანეთის სახეს; მაგრამ საუბარი მაინც გრძელდება და თეთრწვერიანი კაცები მალ-მალე ეწევიან ჩიბუხს. მართალია, დამშვიდებით საუბრობენ და ხანდახმით სიცილიც გაისმის რონოდაში, მაგრამ ყველას ემჩნევა უჩვეულო აღელვება, რომელიც, ვინ იცის, რას მოასწავებს—მოსალოდნელ სიხარულსა თუ კრთომას? ან იქნებ ორივეს ერთად?

— მორჩა, ჩემო ბიძია, მორჩა!—აცხადებს ერთი მოხუცი კაცი და დაბეჯითებით უცქერის მეზობლებს. მას ხელათვე გულმოდგინედ უმოწმებენ სხვები და ვიღაც იძახის:

— შაქარი თქვენს პირს, თუ მართლა მოვისვენეთ!—

როგორც ჩანს, ამ სიტყვებში იჭვი გამოკრთა და იქ მსხდომებმა დაუწყეს ამ ერთს მტკიცება:

— სწორია, მართლა მორჩა!

— განა არა?—ამბობს მოხუცი,—ისე სცხებენ, რომ მეფის ტახტი კი არა, ციხე-სიმაგრე ვერ გაუძლებს.

— მორჩა ხელმწიფის საქმე, მორჩა!—

იძახიან გადაჭრით და ცდილობენ ბოხის ხმით ილაპარაკონ იმიტომ, რომ მხოლოდ ბოხი ხმა შეფერის ასეთ ამბავს და კიდევ იმიტომ, რომ საჭიროა ბორბლების გრიალს გადააჭარბონ.

მალე რონოდაში შემოვიდა მსახური და სანათურში კართოფილის სანთელი აანთო. რონოდა მკრთალად განათდა.

— ასე გაგინათდა კერია!—გაეხუმრა ვიღაც ჭაბუკი მსახურს და მთელმა რონოდამ გაიცინა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსახური გუნებაზე არ იყო, ან ხუმრობა არ დაუჯდა და მას არ გაუცინია. ის შემოსასვლელ კარებში იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.

ღარიბულად ეცვათ მგზავრებს; თითქმის ყოველ მათგანს წინ ხურჯინი ედო და ამ მკრთალ სინათლეში გარკვევით ჩანდა, რომ ყველა ისინი გამხდარი სახისანი იყვნენ.

შეიძლება მგზავრების სიგამხდრეს მიაქცია ყურადღება მსახურმა, რომ ის არ იძროდა და ისევ მგზავრებს ზვერავდა.

მგზავრებმაც ყურადღება მიაქციეს მსახურის ყოფაქცევას და რადგან არავის სიამოვნებდა მისი დაჟინებული ცქერა, ამიტომ საუბარი შეანელეს, თუმცა შეწყვეტით არ შეუწყვეტიათ.

მგზავრები ახლა ხმადაბლა საუბრობდენ და მსახურის გასვლას ელოდენ; ის კი იდგა ისევ და არ მიდიოდა. მაშინ ერთმა მოხუცმა ვერ მოითმინა და მსახურს შეუტია:

— რას გვზვერავ, ჩემო ბიძია? სინათლე ხომ მოგვიტანე, შენი ვალი მოხდილია, დაგვანებე ახლა თავი!—

მოხუცს ირგვლივ დაემოწმენ:

— მართალია, მართალია!—

სადღაც რონოდის სიღრმეში მუქარაც გაისმა:

— თავს გაუფრთხილდი, ჰეი, ძმობილო, სხვა დროა, სხვა დროა! და უეცრად მგზავრები შეეჭვდენ, რომ ეს მსახური კარგი კაცი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვნახოთ, მსახურმა ამოისუნთქა და ხმამაღლა სთქვა:

— ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილება! — მერე ხმას დაუწია და მოხუც კაცს, სწორედ იმას, რომელმაც ამას წინათ მას შეუტია, ჩურჩულით რაღაც უთხრა და სხვა რონოდაში გავიდა.

მოხუცს აღელვება დაეტყო. მოხუცი კრთომით იმზირებოდა ირგვლივ, თითქო სურს რომელიმე მგზავრს სახიფათო საიდუმლოება გაანდოს, მაგრამ ვერავისთვის გაუნდვიაო. მოხუცი თავის შიშსაც ვერ ფარავდა.

მგზავრები შეფრთხიალდენ.

რამდენიმე კაცი გადიხარა მოხუცისაკენ. რამდენიმემ იკითხა:

— რა სთქვა იმ კაცმა ასეთი! —

— გვითხარი, რა სთქვა! —

მოხუცმა დაიძახა:

— ნამდვილი კაცი ყოფილა ეს დალოცვილი! —

ამის შემდეგ რონოდაში ერთმანეთს ეუბნებოდენ, თუ რა სთქვა მსახურმა და ყველამ იცოდა:

ჟანდარმები მატარებელს სჩხრეკენ; ჟანდარმებმა წინა რონოდები უკვე გაიარეს, ახლა ჩვენსას უახლოვდებიან და ვიღაცას დაეძებენ, ხოლო ვინმე თუ ისეთი არის აქ, თავს უნდა უშველოს! —

იაკინთი — თვალი პატიოსანი და შვილი მისი გოგი.

ამის გაგონებაზე ერთი შავგრეგანი კაცი წამოდგა და შეუმჩნევლად ფანჯარასთან გადაჯდა. მან ტყავის მაფრაში რაფაზე ჩამოსდო და ვითომ გრილი ნიავი მოენატრაო, ფანჯარა წელამდელა გააღო.

ის არ იქცევდა არავის ყურადღებას და არც თვითონ იჩენდა სხვებისადმი ცნობისმოყვარეობას. იჯდა თითქმის უდარდელად, არც საუბარში ჩარეულა ამდენ ხანს, არც გაუცინია.

მატარებლის სრბოლისაგან ოდნავ ირწეოდა, ისე, როგორც სხვები და ერთ-ორჯერ თამბაქოც ააბოლა, მაგრამ მისი თამბაქო კარგი ხარისხისა იყო, კეთილსუნელოვანი და, როგორც ჩანს, ქალაქური. ხანდახან კიდეც სთვლემდა ჩუმ-ჩუმად და მეტი არაფერი.

ახლაც, ფანჯარასთან რომ ზის, შესამჩნევად ღელავს. ის დაბალი ხმით ორიოდე სიტყვას მიუგდებს მის პირდაპირ მჯდომ თორმეტიოდე წლის ბავშს და ფრთხილად იღიმება.

კარგად თუ დააკვირდებით, შეატყობთ, რომ მის სიტყვებსა და ღიმილს შორის კავშირი არ არი და ცხადია, სხვების თვალის ასახვევად იქცევა ასე: აქაო და სახუმრო რამეზე ესაუბრობთო. ამ დროს ის ირგვლივ იცქირება და თვალები მოუსვენრად უელვარებს, მაგრამ მას ყურადღებას არ აქცევენ და ის კვლავ იღიმება და ბავშს ეუბნება:

— აბა, შენ იცი, გოგი! —

გოგი ფერმკრთალი უსმენს და თავი ისე უჭირავს, თითქო ამ კაცს შორიდან იცნობდეს. ეს იმიტომ, რომ თვითონ ამ კაცმა დაარიგა ასე.

გოგის კარგად ახსოვს დარიგება. ამ კაცსაც კარგად ახსოვს. კაცი დააკვირდა ბავშს და ჰკითხა:

— ხომ არ გეშინია, გოგი? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა!—თავი გადააქნია ბავშმა.

ამის შემდეგ შავგვრემანი კაცი დამშვიდდა და ბავშს არ უყურებს.

ცხადია, მას ბავში ეცოდება; ეცოდება იმიტომ, რომ თვითონ სახიფათო საქმეშია და ბავშიც ამავე საქმეშია გაბმული; მაგრამ არა უშავს, გოგი მხდალი ბიჭი არ არის; გოგი გულადია და ამ სახიფათო საქმესაც სწორედ გულადობა სჭირია.

ასეთ ფიქრებში რომ იყო შავგრემანი კაცი გართული, მის გვერდით ვილაცამ ხმამაღლა გაიცინა და ამ სიცილზე შავგვრემან კაცს ერთი ქალაქელი ნაცნობი მოაგონდა.

ხშირად დადიოდა ეს კაცი ქალაქელ ნაცნობთან. ქალაქელი ნაცნობი მასწავლებელი იყო, შავგვრემანი კი ხურო. და ყოველთვის, როცა ეს ჩვენი შავგვრემანი კაცი მივიდოდა მასწავლებელთან, მასწავლებელი ფეხზე დგებოდა და ამგვარი ძახილით ესალმებოდა:

— ააა, ჩემო იაკინთე, ანუ იაგუნდო, ანუ თვალო პატიოსანო!—

შემდეგ ამისა, ისინი ერთმანეთს ხელს ართმევდენ და მასწავლებელი ხელს ხელზე უჭერდა: მაგრამ რადგან იაკინთე ხელობით ხურო იყო, ამიტომ მარჯვენაც მაგარი ჰქონდა და გულკეთილი მასწავლებელი გატაცებით იძახოდა:

— ჩემო იაკინთე, ყველამ რო ასეთი ღონით მოვუჭიროთ ამ თვითმპყრობელობას, საქმე დიდი ხანია გათავებული იქნება!

იაკინთე უპასუხებდა:

— დარდი ნუ გაქვს. ამასაც მოვესწრებით!—

და მართლაც, ათას ცხრაას სამ წელს თუ ამნაირად საუბრობდენ, ახლა უკვე ცხრაას ხუთი იყო და, როგორც ჩანს, მთელი ქვეყანა ასევე ფიქრობდა და საქმისათვის ემზადებოდა,

ღელავდა ყველა.

მასწავლებელიც ღელავდა.

მაშინ იაკინთემ რაღაც დიდი დავალებანი მიიღო, ერთი მაფრაშა ქაღალდებით აავსო და ქალაქიდან დაიძრა; თან იახლა უფროსი ვაჟი — გოგი.

გოგი სიხარულით წამოვიდა.

სანამ მატარებელში ჩასხდებოდენ, იაკინთემ გოგი დაარიგა, გზაზე როგორ უნდა მოქცეულიყო, და გოგის ეს კარგად ახსოვს.

ახლა ბავშს უბეში საიდუმლო წერილები უდევს და ამ შავგვრემან კაცს არც უყურებს, თითქო არც იცნობდეს მას.

მაგრამ ჩვენ ვიცით კარგად, რომ ეს შავგვრემანი კაცი იაკინთეა და ეს ბავში კიდევ მისი შვილი.

უეცრად უკანა რონოდიდან გაუგებარი ჩოჩქოლი მოისმა და ამ ჩოჩქოლზე მთელმა რონოდამ წამით სული გატვრინა და შემდეგ, თითქო ამოიგმინაო, ახმაურდა.

მგზავრები წამოდგენ.

საწოლებ შუა ადგილებში ხალხი დაიძრა უკანა რონოდაში გასასვლელად, რადგან ბევრს უნდოდა გაეგო, თუ რა ხდებოდა იქ.

ისედაც ბევრი იყვნენ მგზავრები, მაგრამ როდესაც ყველანი წამოდგენ და ცერებზე დამდგარნი გასავლელად მიიწევდენ, მაშინ რონოდაში მცირედი ადგილიც არ დარჩა თავისუფალი.

როგორც ჩანს, დაძრული ხალხი ვილაცამ არ გაუშვა და გასასვლელ კარებში შეაყენა.

— ნუ მიდიხართ, კაცო, ნუ!—

— სიფრთხილეა საჭირო!—

— ჩუმად, ჩუმად!—

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა!—ისმოდა მგზავრების დამფრთხალი ხმები.

ამავე დროს უკანა რონოდაში ხმაური გაძლიერდა და ახლა ამ ხმაურში მოისმოდა ვილაცების ყვირილი.

რონოდამ კვლავ ხმა გაკმიდა. მგზავრები, რომელნიც ცერებზე იდგენ, იმავ მდგომარეობაში დარჩენ, ხოლო დასაძინებელ საწოლებზე წამოწოლილებმა კისერი დაიგრძელეს და აგრეთვე დამფრთხალნი მაღლიდან გაჰყურებდენ შემოსასვლელ კარებს.

ყველა ელოდა კარების გაღებას, კარებში ჟანდარმების გამოჩენას და ამ მოლოდინში სუნთქვასაც კი იხშობდენ. ამის გამო ჩამოვარდა სიჩუმე. ძალუმად ისმოდა ახლა ბორბლების გრიალი და ყოველი ბაყაყის ხმა გარკვევით იჭრებოდა რონოდაში.

ამ სიჩუმეში ვილაცამ ამოისუნთქა და ამოსუნთქვას ამოაყოლა ჩუმი ხმა, რომელიც მკვეთრად ჩაესმა ყველას:

— თუ ვინმე ისეთი ხარ, თავს უშველე!—

იაკინთესაც ჩაესმა ეს გაფრთხილება და მას გული ოდნავ აუძგერდა.

იაკინთე ფიქრობს:

— არ ივარგებს ახლავე გადავხტე მატარებლიდან. შეიძლება აქ სრულებით არ მოვიდენ და აუტკივარი თავი რათ უნდა ავიტკივო?—

მიუხედავად ამისა, იაკინთე აღელვებულია; ის ზის გაუნძრევლად, მაგრამ თვალებს ატრიალებს და ირგვლივ ყველაფერს ზვერავს.

ასე იჯდა მცირედ ხანს და სანამ ასე იჯდა, იაკინთეს აგონდებოდა განვლილი სადგურები და მთელი მგზავრობა.

იაკინთე გამოცდილი კაცი იყო.

პიონერები აგარაკზე.

გამოცდილებას სიფრთხილელეც თან დაერთო მისთვის, მაგრამ ერთ სადგურზე წესი დაარღვია და ბაქანზე ჩავიდა.

და როგორც კი ჩავიდა ბაქანზე, იმავე წუთს იგრძნო, რომ მას ვიღაც ათვალიერებს.

იაკინთემ მოიხედა და ხელათვე იმ კაცმა, რომელიც მას მართლა ათვალიერებდა, ისეთი გამომეტყველება დაიჭირა, თითქო თავისთვის უსტვენს და სხვა არაფერიო.

იაკინთე ამას მიხვდა, მაგრამ არ გაუმჟღავნებია.

სამაგიეროდ, ის კაცი სწრაფად დაიძრა ადგილიდან, ჯერ იაკინთე კარგად დაათვალიერა და შემდეგ იქვე ჟანდარმების საგუშაგოში შეძვრა.

ცხადია, საქმე ცუდად იყო და იაკინთე რონოდაში დაბრუნდა, ხოლო როცა მატარებელი დაიძრა, იაკინთემ დაინახა, რომ სამი ჟანდარმი იმ კაცის თანხლებით მატარებელს მოახტა და, აი, კიდეც დაეძებენ მას.

— უჰ, რას ჰგავდა მაინც ის ჯაშუში?—ფიქრობს იაკინთე. ერთი რომ სახით უკეთური იყო და როცა იაკინთეს ზვერავდა, ისე იდგა, თითქო მის ყურადღებას არავინ იპყრობდა.

ასე იქცევა ვერაგი კატა, როცა ბელურებზე ნადირობს.

კატამ იცის, რომ ბელურებს ნაკელი უყვართ. ამიტომ კატა ნაკელთან დავარდება, თათებს უმწეოდ გაშლის და თვალებს დახუჭავს, თითქოს მოკვდიო.

სულელ ბელურებს ეს სჯერათ. ისინი თამამად უახლოვდებიან კატას, და კატა მათ იჭერს და სჭამს.

იაკინთეს ესეც მოაგონდა და თავისთვის ჩაიცინა:

— არა, ჩემო ძმაო,—ფიქრობდა ამ დროს ის,— იაკინთე სულელი ბელურა არ არის, რომ უბრალოდ თავი წააგოს. მართალია, არც ჟანდარმებია ბელურები, მაგრამ თავს მაინც არ წააგებს. ხოლო თუ საქმე გაჭირდა, იაკინთეს ჯიბეში რევოლვერი უდევს და რევოლვერში კიდევ შვიდი ლამაზი ტყვია..

უეცრად რონოდაში ხმაური გაძლიერდა. მერე უეცრადვე შესწყდა და ორივე მხრივ რონოდის კარები გაიღო და კარებში გამოჩნდენ ჟანდარმები; მათთან ახლდათ ჯაშუში.

რადგან ჟანდარმების გამოჩენაზე ფეხზე მდგომი ხალხი დაფრთხა და აირია, ამიტომ ჟანდარმმა იყვირა, რომ ხალხს სიმშვიდე დაეცვა და ადგილიდან არავინ განძრეულიყო.



ამავე დროს ჯაშუშმა იაკინთეს მოჰკრა თვალი, და იაკინთემაც დაინახა, რომ ჯაშუშმა იგი იცნო. იაკინთე ისევ იჯდა.

ჯაშუშმა ჟანდარმს ხელი გაჰკრა:

— ეგერ ზის!—უთხრა მან ჟანდარმს.

— აბა რომელი?—სწრაფად იკითხა წითურმა ჟანდარმმა და ხელი რევოლვერის ამოსაწვდომად წაიღო. მას რევოლვერი არც კი ამოუღია, რომ მორთო ყვირილი:

— არ გაბედო, არ გაბედო, მოგკლავ!— შორიდან უყვიროდა ის იაკინთეს და მუშტებით ცდილობდა ხალხის გარღვევას.

მეორე მხრივაც დაიძრენ ჟანდარმები, და მათაც უნდოდათ შავგვრემანი კაცის ხელში ჩაგდება, მაგრამ ხალხი დაიბნა და რონოდაში ყველაფერი აირია.

იაკინთემ კი მაფრაშა ღია ფანჯარაში გადაისროლა და სწრაფად თვითონაც გადახტა. ერთმა ჟანდარმა მოასწრო ყვირილი:

— არ გაუშვათ!—მაგრამ გვიანღა იყო.

მატარებელი მიჰქროდა.

ჟანდარმები მიადგენ ღია ფანჯარას და ალალ ბედზე, იაკინთეს მიმართულებით რევოლვერები გაისროლეს; შემდეგ ხალხი დატუქსეს, რევოლვერის კონდახებს ჰაერში ატრიალებდენ და ერთი უყვიროდა მამაკაცებს:

— მამაკაცები კი არა, სწორე გითხრათ, ბატები ხართ!

მეორე ყვიროდა:

— რა უნდა გელაპარაკოთ, ძროხებო, რო ცხვირის წინ დამნაშავე გაგექცათ!—

ჟანდარმები წავიდენ და რონოდაში თავდაჭერილი ჟრიამული ატყდა. ერთმა კაცმა მოუთმენლად სთქვა:

— აფერუმ, ბიჭო!—

ამის შემდეგ სიხარული გამომჟღავნდა და დიდი და პატარა შავგვრემან კაცს აქებდა:

— არა, სულ რომ თავისთვის იჯდა და ეჭვიც არავის აუღია?—

— საქმეც ეს არის, ჩემო ძმაო და ბიძია! ეჭვიც არავის აუღია!—

გოგიმ მოხუცს ჰკითხა:

— ბიძია, ნეტავ ის კაცი ხომ არ დაშავდებოდა გადახტომის დროს?—ამას რომ ეკითხებოდა, ხმამ უმტყუნა გოგის და აუთრთოლდა, მაგრამ მოხუცს ეს არ შეუნიშნავს.

— არა ჩემო, ბიძია!—მიუგო მოხუცმა კაცმა გოგის,—ხედავდი, როგორ ისკუპა? დიდი სიმარჯვე გამოიჩინა, დიდი...

გოგი დამშვიდდა.

მატარებელი სვლას ანელებდა და ორთქლმავალმაც იკივლა. ფანჯრებში გამოკრთა ლურჯი სანათურები და რკინისგზის მოხელეთა ერთმანეთის ძახილიც მოისმა. უთუოდ ისინი ნიშანს აძლევდენ ერთიმეორეს, დარბოდენ, მაგრამ ღამეში არ ჩანდენ და მხოლოდ მათი ლანდები დაბარბაცობდა.

მგზავრები წამოდგენ და ხურჯინები მხრებზე მოიგდეს.

მატარებელი დადგა.

ს. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ნ ა პ ო ვ ნ ი.

— აბა, შენ იცი, ჩემო ბიჭუნია, როგორ ჭკვიანად მოიქცევი და მამიდაშენს არ გააჯავრებ! ახლა უკვე პიონერი ხარ და ჭკუაც უფრო მეტი მოგეთხოვება.

ამ სიტყვებით დედამ ჩაჰკოცნა 13-14 წლის ვაჟი კარლო, რომელიც საჩქაროდ შეახტა მატარებელს. მატარებელი ახმაურდა, აკივლდა და ზლაზვნით გაემართა დასავლეთისაკენ. კარლომ თავი გამოჰყო ფანჯარაში და დედას მისჩერებოდა.

მშვენიერი საღამო იყო და გრილი ნიავი კარლოს ხუჭუჭა თმებს ეალერსებოდა. ის დიდხანს იდგა ფანჯარასთან და გაფაციცებით ადევნებდა თვალს, როგორ მიჰქროდენ მინდვრები, ხეები, სახლები და მთელი მიდამო.

დაღამდა. კარლო მოშორდა ფანჯარას, მონახა თავისი საწოლი და წამოწვა. თავქვეშ პატარა ჩემოდანი ამოიდო და დასაძინებლად მოემზადა.

შუაღამეა. ვაგონში ყველას სძინავს. აი, თითქოს ღამის სიჩუმიდან ამოძვრაო, გამოჩნდა ძონძებში გახვეული პატარა ბიჭი, რომელიც თვალებს ეშმაკურად იქით-აქეთ აცეცებს. აი, დაინახა ვინც უნდოდა და მისკენ კატასავით დიდი სიფრთხილით გაემართა. მივიდა, ნახა, რომ სძინავს კარლოს და შეუდგა საქმეს: ფრთხილად აუწია თავი და პატარა ჩემოდანი გამოაცოცა, შემდეგ, როცა შარვლის ჯიბეებზე გადავიდა, კარლოს ხელები მას კისერში ჩაეფრინდა და საქმიან მუშაობაში ხელი შეუშალა. კარლომ მგზავრობის დროს ფხიზელი ძილი იცოდა და უკვე დიდი ხანია შენიშნა, რომ ცოცხალი თაგვი მის ჯიბეებში ფათურობდა, მაგრამ მოხერხებულ დროს უცდიდა.

— მომეცი ჩემოდანი და ქალალდები!

ბიჭი გაუძალიანდა და მოინდომა ხელიდან გასხლტომა.

— სსუ, ჩუმად იყავ, თორემ დავიყვირებ და დაგიჭერენ.

— მერე, შენც ხომ ეს გინდა?—უპასუხა ბიჭმა.

— რატომ გგონია, რომ ეს მინდა? ტფილისიდან შენ დასაჭერად კი არ წამოვსულვარ. მოიტა, რაც წაიღე.

ბავშმა გადასცა ნაქურდალი ნივთები, მაგრამ ადგილიდან კი არ დაიძრა. კარლოს შეებრალა ის და ახლა უკვე ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი:

— რა გქვიან?

— მე სახელი არა მაქვს.

— მაშ როგორ გეძახიან ძმა-ბიჭები, ან ნაცნობ-მეგობრები?

— ნაცნობ-მეგობრები არა მყავს.

კოლექტივში არსებული სანიტარული წრის დახმარება საჭიროების დროს.

— ღამეებს სად ათენებ?

— სადაც შემხვდება. ან ქალაქის მიყრუებულ ქუჩებში, ან რომელიმე სადგურზე, მატარებლის ქვეშ.

კარლოს გააჟრჟოლა და ამ ბავშისადმი უსაზღვრო სიბრალულის გრძნობით აივსო.

— მაშ კარგი.

მე გადავწყვიტე წაგიყვანო შენოდენა ტოლ-ამხანაგებთან. შეგიყვარებთ ყველანი ისე, როგორც ძმას, თანატოლს. გასწავლით წერას-კითხვას და მუშაობას.

პატარა ბიჭი დაფიქრდა. თვალები წყლით აევსო, მაგრამ სახეზე ჯიუტობა ესახებოდა.

— მე იქ აბუჩად ამიგდებენ ბავშები.

— არა, მაგის ნუ გეშინია, ტანისამოსიც სწორედ ამ ჩემოდანში მაქვს და ჩემსავით გამოგაწყობ. გინდა? ნუ გრცხვენია, მიპასუხე, სახელად ნაპოვნს დაგარქმევ.

ამ სიტყვებზე ორივეს გაეცინა, და გაქრა ბიჭის უკანასკნელი ყოყმანი.

ბავშები ერთმანეთს გადაეხვიენ.

—:—

ამის შემდეგ ორი თვე გავიდა. ნაპოვნი არაჩვეულებრივი ნიჭიერი, გულკეთილი და ენერგიული ბავში შეიქნა. კარლომ თავისი დაპირება აასრულა: ნაპოვნის ვინაობა არავინ არ იცოდა და დიდის სიყვარულით ეპყრობოდენ. მან უკვე ცოტაოდნად შეისწავლა წერა-კითხვა და გაერთო საკლუბო მუშაობაშიც. კარლო ყოველმხრივ ცდილობდა მის წახალისებას.

სოფლის ბავშებმა სთხოვეს კარლოს, რომ წასვლამდე როგორმე ერთი წარმოდგენა გაემართათ. კარლომ ეს თხოვნა სიამოვნებით მიიღო და თან მშვენიერმა აზრმა გაურბინა თავში: თვითონ დაეწერა პიესად ნაპოვნის თავგადასავალი და უმთავრესი როლიც ამ ორს ეთამაშა. ნაპოვნს ეს აზრი ძლიერ მოეწონა. დაიწყეს მზადება.

—:—

კვირა საღამოა. ხალხს თავი მოუყრია სკოლის შენობაში, მხიარულად ლაზღანდარობენ, უმეტესად ახალგაზრდობა ჩანს. ზოგი ჯგუფ-ჯგუფად მღეროს, ზოგნი ცეკვავენ დაირის და „ჩაგუნას“ ხმაზე, ზოგნიც საქმის კაცებივით დარბიან აქეთ-იქით და ეხმარებიან კარლოს სცენის მოწყობაში. ფარდა ადგილობრივმა ალმასკომმა იშოვა, ტახტი, სკამები და სხვა მოწყობილობა ბავშებმა მოარბენინეს და გრიმად კი ნახშირი და მური მოიშველიეს. ტანისამოსი კარლომ მოიტანა, თავისთვის ჩვეულებრივი და ნაპოვნისთვის კი ის ძონძები, რომელიც მას პირველი შეხვედრის დროს ეცვა.

ფარდა აიხადა. წარმოდგენა ჩინებულად მიდიოდა და როცა იმ ადგილს მივიდენ, სადაც პატარა ქურდი ბიჭი ჰპარავს ნივთებს მძინარე მგზავრს, ნაპოვნი დაიბნა, ენა დაება და გაშტერებული თვალებით აქეთ-იქეთ იცქირებოდა.

— რა მოგდის? — შეეკითხა ჩუმად მწოლარე მგზავრი — კარლო.

— არ შემიძლია ვითამაშო, — ხმამაღლა წარმოსთქვა მან.

— განაგრძე, თორემ გცემ!

— არა, არა, ვერ ვითამაშებ.

ხალხში საშინელი ჩოჩქოლი ატყდა, არ იცოდენ, ნაპოვნს რა მოუვიდა.

— მისმინეთ! — დაიძახა ნაპოვნმა. — მე იმიტომ ვერ ვითამაშებ, რომ ეს წარმოდგენა მოგონილი კი არაა, არამედ ნამდვილია, და ეს ბიჭიც ამ ტანისამოსში სწორედ მე ვარ, პატარა მგზავრიც კარლო არის, მან მე ადამიანად გადამაქცია!

ამ სიტყვებით ის გაექანა გაშტერებული კარლოსკენ და ქვითინით ჩაეხვია. ხალხმა ტაშისკვრა ასტეხა; ყველაზე ძლიერად იმოქმედა ამ ამბავმა.

პიონერები შემოეხვიენ კარლოსა და ნაპოვნს და ულოცავდენ გამარჯვებას.

კარლო გადაეხვია ნაპოვნს და უთხრა: „მართლა ჩინებულად ჩატარდა ჩვენი წარმოდგენა!“ ამ სიტყვებით ყველანი აღელვებულნი და გახარებულნი დაბრუნდენ შინ.

კ. კალანდაძე.

ბავშებო!
გამოიწერეთ და წაიკითხეთ
თქვენი ჟურნალი
„პიონერი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა ბანაკის მოწყობა.

ბანაკის უმთავრესი მიზანია პიონერების ფიზიკური გაჯანსაღება, ბავშების გაყვანა ქალაქიდან, იმ მიზნით, რომ მათ გამოასწორონ ზამთრის განმავლობაში შელახული ჯანმრთელობა. მაგრამ გარდა პიონერთა ფიზიკური გაჯანსაღებისა, ბანაკს სხვა მიზნებიც აქვს დასახული. აქ უნდა სწარმოებდეს საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მუშაობაც.

ამნაირად, ბანაკის მიზანია:

1- პიონერთა ფიზიკური გაჯანსაღება,

2. კავშირი საზოგადოებრივ წრეებთან (სოფელი),

3. კოლექტიური შრომის შეჩვევა.

4. განმანათლებელი მუშაობა.

რა ადგილი უკავია ბანაკს პიონერთა გაჯანსაღების საქმეში?

იგი უნდა ემსახურებოდეს ისეთ პიონერებს, რომლებსაც თავისი ფიზიკური ჯანმრთელობის მიხედვით არ შეუძლიათ დარჩენ ქალაქად და იმავე დროს არც ისე დასუსტებული არიან, რომ სჭირდებოდესთ სანატორიუმში გამგზავრება.

მაშასადამე, ბანაკი უნდა გვესმოდეს, როგორც დამხმარე გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითი დაწესებულება დასუსტებულ პიონერთათვის.

პიონერთა ბანაკის მოწყობა ყველაზე უმჯობესია რომელიმე სოფლის ან აგარაკის მახლობლად, რადგან ეს მისცემს პიონერებს საზოგადოებრივ — პოლიტიკური მუშაობის საშუალებას. სოფლად პიონერებს საშუალება აქვთ გაეცნონ და დაუახლოვდენ მის მცხოვრებთ და კერძოდ გლეხურ ბავშებს.

ბანაკის მოწყობისათვის არ არის საჭირო კარვების გამართვა. უმჯობესია დახურულ ბინებში ცხოვრება. განსაკუთრებით ასაკრძალავია კარვებში ცხოვრება იქ, სადაც ხშირი წვიმებია და სინესტე საფრთხეს უმზადებს ბავშთა ჯანმრთელობას. კარგია კარავი პიონერთა საერთო სასადილოს, ამბულატორიის და სამზარეულოს მოსაწყობად.

ბანაკის ადგილის არჩევისას საჭიროა ყურადღება მიექცეს მდინარის სიახლოვეს, სადაც პიონერებს შეეძლებათ ბანაობა: კარგია, თუ ბანაკის მახლობლად ტყეც იქნება. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საექიმო პუნქტის სიახლოვეს. ბანაკის მახლობლად არ უნდა იყოს ჰაერის მომწამლავი რაიმე წყარო (საპირფარეშო, სანაგვე ორმო, ჭაობი, ბოსელი და სხ.).

ბანაკის მოწყობის დროს საჭიროა რგოლებს შორის მოვალეობათა განაწილება. მაგალითად: ერთ რგოლს უნდა დაევალოს ბანაკის ადგილის დათვალიერება, მეორეს—საჭირო ინვენტარის დამზადება, მესამეს—ბანაკის მახლობლად მდებარე მიდამოების შესწავლა, მეოთხეს—ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირის გაბმა და სხ.

ალექსანდრე დიმიტრის-ძე ციურუპა

ა/წ. 8 მაისს ყირიმში მძიმე ავადმყ. ფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საკავშირო სახალხო კომისარიატის საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ციურუპა. ციურუპა ძველი მებრძოლი ლენინელი იყო, რომელმაც მთელი თავისი ცხალგაზრდობა და სიცოცხლე მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობას და სოციალისტურ აღმშენებლობას შესწირა.

ბანაკად საცხოვრებელი ბინები სასურველია ერთიმეორესგან დაშორებული არ იქნეს.

დასაწოლი ოთახი საკმაოდ ფართო უნდა იყოს. იგი ხშირად უნდა იწმინდებოდეს. თითოეულ პიონერს უნდა ჰქონდეს საწოლი. ბანაკში ყველაზე უფრო მოხერხებულია დასაკეცი საწოლი. დღისით ფანჯრები უნდა იღებოდეს, ხოლო გამკრავი ქარი არ უნდა იყოს. ოთახში უნდა იდგეს საფურთხი.

სასადილო. სასადილოს მოწყობა შესაძლებელია დახურულ ოთახში, მაგრამ უმჯობესია მისთვის ფართო კარავის მოწყობა. კარავში უნდა იდგეს გრძელი მაგიდა და სკამები. მაგიდის გაწყობა და სადილის მიწოდება მორიგეობით სწარმოებს.

სამზარეულო. შესაძლებელია ბინას, რომელშიაც პიონერები იცხოვრებენ, სამზარეულო არ ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოეწყოს დროებითი მარტივი სამზარეულო, სადაც შესაძლებელი იქნება საჭმლის მომზადება.

საპირფარეშო. საპირფარეშო და სანაგვე ორმო ბანაკის ცოტა მოშორებით უნდა მოეწყოს. ისინი არ უნდა იყოს მოთავსებული ისეთ ადგილზე, რომ მათ გააბინძურონ ახლო მდებარე მდინარე, რომელშიც პიონერები ბანაობენ, საპირფარეშო გოგონებისათვის და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე უნდა მოეწყოს.

მ. გორგაძე

ამ პატარა წერილში ჩვენ მოგვყავს ამონაწერი ვენელი პიონერის წერილიდან, რომელიც ახასიათებს ბავშვთა მდგომარეობას კაპიტალისტურ სკოლებში.

„...გალობის გაკვეთილზე მასწავლებელმა გვითხრა:

— ჩვენ უკვე დავამთავრეთ ჰინდენბურგის დღესასწაული, მისი 80 წლის შესრულების გამო. ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ საშობაო თემებზე. მე მაქვს მოციქულ წმინდა ლუკას ტექსტი, რომლის მელოდია მე დავამუშავე.

მე ავდექი და ვუპასუხე: მე განთავისუფლებული ვარ რელიგიური ტრადიციებისაგან, რელიგიის გავლენისაგან და გთხოვთ გამათავისუფლოთ აგრეთვე ფსალმუნის გალობისაგან მეთქი.

მასწავლებელს ეს არ მოეწონა.

ორი დღის შემდეგ, როდესაც ბავშვები გალობდენ რეაქციონურ სიმღერას „ჰერცოგ-ოოლს“, მე კვლავ უარი განვაცხადე სიმღერაში მონაწილეობის მიღებაზე.

მასწავლებელმა მითხრა:

„შეგიძლია იმღერო შენი კომუნისტური სიმღერები, თუკი ჩვენი არ მოგწონსო“.

სიმღერის შეწყვეტის შემდეგ პირველად მე გამიძახა მაგიდასთან. მასწავლებელმა აიღო სკრიპკა და მომცა ტონი. მე დავიწყე სიმღერა; სიმღერას მთელი კლასი აჰყვა.

ორი დღის შემდეგ 7 ნოემბერი იყო. მე ვიდღესასწაულე ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი და სკოლაში მივედი წითელი ყელსახვევით. ბავშვებმა ჯერ სიცილი დამიწყეს, შემდეგ კი გაიძახოდენ: „როტ-ფრონტ“, „ზაიდ-ბერაიტ“! („წითელი ფრონტელი“, „იყავ მზად“).

ყველა დაჟინებით მეუბნებოდა, რომ არ მომეხსნა წითელი ყელსახვევი, თუგინდ მასწავლებელს მოეთხოვა.

ეზოში ბავშვები განუწყვეტლივ გაჰკიოდენ: „როტ-ფრონტ, — „ზაიდ-ბერაიტ!“ მასწავლებელმა ამას ყურადღება მიაქცია და მიბრძანა მოვეხსნა ყელსახვევი. მე ცივი უარით გავისტუმრე ის.

პირველ გაკვეთილზედვე, ტანვარჯიშის მასწავლებელმა, სოციალ-დემოკრატმა, მითხრა:

— მოიხსენი ეს „ჩვარი“ ყელიდან“.

მე ვუპასუხე, რომ ეს „ჩვარი კი არ არის, არამედ პიონერთა ნიშანია. მე მას არ მოვიხსნი, რადგან ვდღესასწაულობ საბჭოთა რუსეთის ათი წლის თავს, რომელსაც ვთვლი ჩემს სამშობლოდ.

მასწავლებელმა მითხრა წავსულიყავ რექტორთან და განმეცხადებია, რომ მე არ მსურს ყელსახვევის მოხსნა.

მე მოვატუე ის, ვუპასუხე, ვიყავ რექტორთან და მან არაფერი არ მითხრა მეთქი.

ტანვარიშობის გაკვეთილი გათავდა.

ბავშვები დაჟინებით მთხოვდენ, რომ შემდეგაც ასე მემოქმედა. გათავდა მეორე გაკვეთილი.

შემდეგ გალობის გაკვეთილი იყო.

მე დავჯექი უკანა პარტაზე, რადგან საგალობელს არ ვმღეროდი. მასწავლებელმა გამიწვია თავისკენ:

„— ეს რა „ჩვარია“, კისერზე რომ გახვევია?“

მე კვლავ ავუხსენი, ეს „ჩვარი“ კი არ არის, არამედ პიონერის ნიშანია მეთქი.

მასწავლებელმა მიბრძანა მიმეცა ყელსახვევი. მე უარი ვუთხარი. მაშინ მან სილა გამარტყა. მე დავიყვირე:

„— შენ ნებას არ მოგცემ, რომ მცემო“ — და გავიქეცი.

მასწავლებელმა დამიყვირა შევჩერებულიყავი და წამიყვანა რექტორთან.

მაგრამ, როგორც კი კლასს გადმოვცდით, ბავშვებმა ასტეხეს ხმაურობა და მერხებზე ცემა, ასე რომ მასწავლებელი იძულებული იყო დაბრუნებულიყო. ბავშვებმა ხმაურობა ასტეხეს იმიტომ, რომ მასწავლებელს არ წავეყვანე რექტორთან.“

პიონერის ეს წერილი მეტად საგულისხმოა. ამ წერილში ჩვენ ვეცნობით ქ. ვენის სკოლების ყოფა-ცხოვრებას.

წერილიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი გავლენა ჰქონია კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

ბავშვებიც კი იცნობენ საბჭოთა შრომის სკოლის წესებს, ჩვენ პიონერებს და სავსებით თანაუგრძნობენ მას.

მესამე თაობამ — პიონერებმა — საკმაო გამოძახილი ჰპოვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და შორს არ არის ის დრო, რომ იმათ, საბჭოთა რესპუბლიკების პიონერებისებურად, სკოლაში არ დაუშლიან იმ წითელი ყელსახვევით მისვლას, რომელსაც დღეს კაპიტალისტური შრომის სკოლის მასწავლებლობა „ჩვარს“ უწოდებს.

ვენის სკოლის ბავშვები ყოველთვის დაიცავენ პიონერთა ინტერესებს და ჩვენი ქვეყნის პიონერებთან ერთად გასწევენ წინ.

როგორ ზეიმობდა ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

20 მაისს, კვირას, დილის შვიდი საათიდან ტფილისის ქუჩებს დიდი მოძრაობა ეტყობოდა. ჰატარა გოგონები და ვაჟები მხიარული, ცოცხალი სახეებით მიეშურებიან შესაკრებ წერტილებისაკენ—პიონერ-კოლექტივებში, სკოლებში. ყველა აჩქარებულია, ყველა ცდილობს დაუგვიანებლად გამოცხადდეს დანიშნულ ადგილზე.

შეკრების შემდეგ ლენრაიონის პიონერები და სკოლები მიემართებიან ხუდადოვის ტეისაკენ, მეორე რაიონი მიდის დიდუბის იქეთ, ღრმა-ღელის ახლო მინდორში, მესამე რაიონი კი იკრიბება ნავთლულში—ქვეითი სკოლის ბანაკში.

პიონერები დაყოფილი არიან კოლექტივებად რომლებშიც პიონერ-მუშაკები და მასწავლებლები ატარებენ საუბრებს ბავშთა კვირეულის შესახებ; იმართება აგრეთვე მასიური თამაშობანი და სხ.

ქალაქის რაიონის პიონერებს გასასვლელ ადგილად ვაკე აურჩევიათ. ეს რაიონი განსაკუთრებით კარგად მომზადებულა, წინასწარ გაუთვალისწინებია ყველა წვრილმანი, რაც დაკავშირებულია ბავშთა ქალაქ გარეთ მასიურ გასეირნებასთან: ბავშები უზრუნველყოფილი იყვნენ სასმელი წყლით, სპეციალურად მოწყობილი კოოპერატიული კარავი მათ სურსათ-სანოვაგეს აწოდებდა.

რაიონი სამ ჯგუფად იყო განაწილებული. აქაც მოეწყო ვარჯიში ორკესტრის ტაქტის ქვეშ, მასიური თამაში: „თეთრები და წითლები“, რაშიაც წითლებმა სასტიკად დაამარცხეს თეთრები და სხვ.

საღამოს, ბავშვთა მოსახლეობისაგან დაცლილი ტფილისი ისევ გამხიარულდა უდარდელი კისკისითა და პიონერთა ორკესტრის წკრიალა ხმებით.

ბავშთა საერთაშორისო მერვე კვირეულის უკანასკნელი დღე—27 მაისი ტფილისის პიონერებმა და მოწაფეებმა აღნიშნეს დემონსტრაციით, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანობით აღემატება პიონერთა ყველა წინანდელ დემონსტრაციას.

პიონერების მიერ დროშის აშვება.

დილიდანვე ქალაქის ქუჩებში გაისმა დოლებისა და რამოდენიმე ათეული საყვირის ხმა, ერთი-მეორეს მოჰყვა პიონერთა კოლექტივები, მოწაფეები ალისფერი დროშებით, ფერადოვანი ჰლაკატებით და ლოზუნგებით.

დემონსტრაციის დაწყებამდე გამოცოცხლდა თავმოსაყრელი პუნქტები. ახლად მოსული ბავშები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდენ, მხიარულად ცეკვავდენ და მღეროდენ. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც საუვირის ხმა გაისმა, ბავშები სწრაფად დაეწყვენ რიგებად და მწეობრ რაზმებად ტრიბუნისაკენ გაემართენ.

კომკავშირის ცეკასთან გამართული ჰატარა ტრიბუნა გავსებულია ჰარტიის, მთავრობის, კომკავშირის და ჰროფკავშირების წარ-

პიონერები დემონსტრაციაზე.

მომადგენლებით, რომლებიც მოსულან აქ, რომ მიესალმონ ნორჩ ლენინელებს მათი დემონსტრაციის დღეს. შუადღის 12 საათზე ახმაურდა ორკესტრები და ათასობით ჰიონერებმა მწეობრი ნაბიჯით დაიწყეს მსვლელობა.

— გაუმარჯოს საკავშირო კომჰარტიას!

— ფართო გზა მესამე თაობას!

— მზად იყავით საბჭოთა კავშირის დასაცავად! ხმამაღლა გაისმოდა ლოზუნგები და ამ ლოზუნგებს ბანს აძლევდენ ჰიონერთა კოლექტივები.

ალისფერ დროშებსა და ჰლაკატებზე მოჩანდა ჰიონერთა მოწოდებანი: „ბრძოლა კულტურისათვის, ახალი ეოფა-ცხოვრებისათვის, მსოფლიო რევოლუციისათვის". ბევრი ჰიონერი დემონსტრაციაზე გამოვიდა თოფებით, გაზის საწინააღმდეგო აპარატებით, რომ მოეხდინათ თავისი სამხედრო მომზადების დემონსტრაცია.

დროშებით გაიარეს ჩინელებად და ზანგებად შენიღაბებულმა ჰიონერებმა, ჩაატარეს ბურჟუა და ჩემბერლენი, რომლებსაც თოკის გაწევ-გამოწევით ამოძრავებდენ; ყველა მხიარულებდა და ყველგან გაისმოდა სიმღერები.

დემონსტრაციაზე გამოვიდა 15 ათასი ჰიონერი; მათ დაგვანახეს თავისი შემჭიდროება, ზრდა და სურვილი, რომ ემსახურონ ჰროლეტარულ სამშობლოს და საბჭოთა ხელისუფლებას. ამ დემონსტრაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წინა თაობის შემცვლელი ახალი თაობა იზრდება და მიდის სწორი ლენინური გზით.

პიონერებო! მოგვწერეთ, როგორ ჩაატარეთ ბავშვთა მერვე საერთაშორისო კვირეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის საგავშო სახლეგის ცხოვრეგიდან.

დუშეთის საბ. ახალშენი მოთავსებულია ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ყოფილ ყაზარმებში. ახალშენში ამჟამად ირიცხება სულ 282 აღსაზრდელი, ეროვნების მიხედვით: ქართველი 253, რუსი—5, სომეხი—9, ოსი-4, თურქი—3 და სხვადასხვა ეროვნებისა—8. სოც. მდგომარეობის მიხედვით: მუშის შვილები—41, გლეხის—124, ხელოსნის შვილი—18, მოსამსახურის—43 და სხვადასხვა პროფესიის მქონეთა—16. კომკავშირის წევრების რაოდენობა უდრის—42, პიონერების—187 და ოქტომბრელების—53.

ახალშენთან არსებობს საბ. ბაღი, ორი ოთხწლედი, პროფტეხნიკური სკოლა და სოფლის ახალგარზდობის სკოლა. ზემოხსენებულ სკოლებში, გარდა ახალშენის ბავშებისა, სწავლობენ ადგილობრივი გლეხების და მუშა-მოსამსახურეების შვილები, 120 ბავში. სულ სკოლაში მუშაობს 402 ბავში.

ახალშენთან არსებობს სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც საკმაო საათები ეთმობა პრაქტიკულ მუშაობას, როგორიცაა: კერვა-ხელსაქმიანობა, სახარატო—სადურგლო საქმე და მეწაღეობა. პიონერ-ორგანიზაციას კავშირი აქვს სამაზრო პარტკომთან, სამკომთან, პროფკავშირთან, კოოპერატივთან, გლეხკომთან და ქალაქის კლუბებთან. რაც შეეხება წითელ არმიასა და მილიციას, ჯერ კიდევ არ არის მათთან დაკავშირების საკითხი მოგვარებული. უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა გასამხედროების ხაზით არ წარმოებს, რაც აუცილებლად უნდა იქნას დაწყებული.

ახალშენის პიონერ-ორგანიზაცია აწყობს ექსკურსიებს განაპირა სოფლებში, წინასწარ გათვალისწინებული გეგმით. ტარდება საუბრები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, ჰიგიენა-სანიტარიის შესახებ, სწავლა-განათლების შესახებ, კომუნის მნიშვნელობაზე და სხვა.

ახალშენის მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა საუბრებს და მოთხრობებს. საუბრებს აქვს როგორც პოლიტიკური, აგრეთვე პედაგოგიური ხასიათი. საუბრების თემებია: ოქტომბრის ბელადების ავტობიოგრაფიები, ნორჩ პიონერთა ცხოვრება, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე საზღვარგარეთის პიონერთა მოძრაობა და სხვა..... აგრეთვე ბავშები წაკითხული წიგნებიდან ადგენენ საუბრებსდა ატარებენ ცალ-ცალკე რგოლებში, სწერენ გლეხის ცხოვრებიდან პატარა პიესებს და სდგამენ სცენაზე.

სახლებს გამოწერილი აქვთ სხვადასხვა გაზეთები და ჟურნალები; 5 ცალი „პიონერი“, ორკვირეული ჟურნალი, 3 ცალი საბავშო ჟურნალი „ოქტომბრელი“, 25 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 2 ცალი „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალგ. გვარდია“.

პიონერთა ორგანიზაცია ყურადღებით ეპყრობა საზოგადოებრივ მუშაობას.

კოლექტივებმა ჩაატარეს საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა: დახმარება აღმოუჩინეს ულარიბესი გლეხების ოჯახებს სამეურნეო საქმიანობაში.

ახალშენში არსებობს აგრეთვე თვითგანვითარების წრეები.

დუშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მეზობელი ქვეყნები

ოსმალეთი

ოსმალეთი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა. ერთი ევროპის ნაწილია, რომელიც მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მეორე კი, უდიდესი ნაწილი, მცირე აზიაში მდებარეობს (იხ. რუკა). ოსმალეთის თანამედროვე ტერიტორია 800 ათასს კვად. კილომეტრს უდრის, მოსახლეობის რაოდენობა კი 14 მილიონამდე აღწევს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სასოფლო მეურნეობას მისდევს, რომელიც ოსმალეთში ძალზე ჩამორჩენილია. ტერიტორიის მხოლოდ 10% გამოყენებული სოფლის მეურნეობისათვის. ოსმალეთში სთესავენ პურს, ქერს, შვრიას, სიმინდსა და ბრინჯს. ამათ გარდა სხვა კულტურაცაა გავრცელებული. ტეხნიკურ მცენარეთაგან აქ უფრო ბამბაა გავრცელებული.

სასოფლო მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მებაღეობას. გავრცელებულია აგრეთვე ვენახი, ფორთოხალი, ლიმონი, ზეთისხილი და სხვა. მეაბრეშუმეობას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი.

ოსმალეთის მთიან ადგილებში მისდევენ მეჯოგეობას, გავრცელებულია უმთავრესად ცხვრისა და ანგორის თხის მოშენება.

სამთამადნო მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბლომადაა ქვანახშირის, ნავთის, სპილენძის, ოქროს და ვერცხლის მადნები.

ამჟამად საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა განვითარების გზას დაადგა. არის რამდენიმე ფაბრიკა ბამბისა და მატყლის დასამუშავებლად.

აქ შინამრეწველობასაც მისდევენ, განსაკუთრებით კი ხალიჩების ქსოვას.

რკინის გზები ცოტაა; რკინის გზების ქსელის სიგრძე 1925 წელს მხოლოდ 3,330 კილომეტრს უდრიდა. რკინის გზების უმეტესობა აშენებულია უცხოელ კაპიტალისტთა კომპანიებისაგან.

საზღვაო-სავაჭრო ფლოტიც მცირეა.

სახელმწიფო მართვა-გამგეობის მხრივ 1923 წლიდან ოსმალეთი რესპუბლიკად ითვლება.

ოსმალეთში მუშათა კლასი მცირერიცხოვანია; ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრეწველობა სუსტადაა აქ განვითარებული. პირველ ხანებში ოსმალეთის მუშათა კლასი, მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში; ამ დროს ოსმალეთში ადგილობრივი კომუნისტური პარტია მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. ოსმალეთის კომუნისტური პარტია 1920 წელს ჩამოყალიბდა. ამის ინიციატორები იყვნენ ყოფილი ოსმალო სამხედრო ტყვეები. ოსმალეთის კომუნისტური პარტიის მოთავე იმ თავდაპირველად იყო **მუსტაფა სუბხი**, რომელიც ტრაპიზუნდის ჟანდარმებმა ზღვაში გადააგდეს და დააღრჩეს.

ამის შემდეგ ოსმალეთის მთავრობა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და მას სასტიკად დევნიდა. ოსმალეთის მთავრობამ დაკეტა კომუნისტური ჟურნალ-გაზეთები. კომუნისტურ პარტიას ამჟამად არალეგარულად უხდება მუშაობა. მუშათა კლასის მოძრაობა ოსმალეთში თანდათან ცხოველდება.

საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობა მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული. თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ 1925 წლის 17 სექტემბერს ქ. პარიზში დაიდვა ხელშეკრულება ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. დაიდვა აგრეთვე ხელშეკრულება 1922 წელს ოსმალეთსა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკას შორის, რომელმაც საბოლოოდ გადასწყვიტა საძოვრების საკითხი: ორივე სახელმწიფოს შეუძლია ურთიერთ კუთვნილ საძოვრებით სარგებლობა. ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კიდევ 1927 წელსაც დაიდო ხელშეკრულება ვაჭრობის შესახებ.

ალ. გორგაძე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲜᲘ

საკვებ ნივთიერებათა და სელის წარმოება.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად მოდის 40—60 მილიონი ტონა ხორბლეული. მხოლოდ ნაწილია აქედან საჭირო სახელმწიფოს შიგნით მოსახმარებლად, ნაწილი კი საზღვარგარეთ გადის, რაც საგრძნობ შემოსავალს იძლევა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მცხოვრებთათვის აგრეთვე კართოფილს.

საბჭოთა კავშირში ხან ძალიან კარგი მოსავალი იცის, ხან კი ცუდი, იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდი დაუდგება ნათესებს. ს. ს. რ. კ. ევროპელ და აზიურ ნაწილში ხიშრია გვალვა, რომელიც საშინელ დღეში აგდებს მოსახლეობას. საბჭოთა ხელისუფლება ებრძვის გვალვას და ძალიან დიდ თანხებს ხარჯავს ამ საქმეზე. იმ წელსაც კი, როდესაც მხოლოდ საშუალო მოსავალია, მოსახლეობას არ სჭირდება მთელი ჭირნახული და ნაწილი საზღვარგარეთ გააქვთ.

საგარეო ვაჭრობა ამ ბოლო ხანებში თანდათან იზრდება. მაგალითად, 1923/24 წელს გაიტანეს საბჭოთა კავშირიდან 370 მილ. მანეთის საქონელი, 1925/26 წელს კი—655 მილიონის.

ხორბალს ჩვენში ფქვავენ დიდ საფქვავ წისქვილებში და ქარისა და წყლის პატარა წისქვილებში. მოსახლეობა უმთავრესად ამ პატარა წისქვილებით სარგებლობს, მთელი ხორბლის ნახევარი სწორედ ამ ქარისა და წყლის პატარა წისქვილებში იფქვება, ფქვილი ცუდი გამოდის, დიდ შრომას მოითხოვს და ძვირი ჯდება.

დიდი წისქვილები, სადაც მექანიკური ძალაა გამოყენებული, არის ყველა იმ რაიონში, სადაც ბევრი ხორბალი მოდის, მაგალითად, ვოლგაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთით და ცენტრალურ რაიონში, სადაც შავი მიწაა.

ძალიან მდიდარია საბჭოთა კავშირი ცხოველების რაოდენობის მხრივაც. 1926 წელს ს. ს. რ. კ. იყო 63 მილიონი მსხვილფეხა საქონელი, 115 მილიონი თხა და ცხვარი, 21 მილიონი ღორი. ხორცი მოსახლეობას სავსებით საკმაო აქვს და ზოგ წელიწადს კი საზღვარგარეთაც გადის.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ზღვებით და მდინარეებითაც, სადაც აუარებელი თევზია. ყოველ წელიწადს იჭერენ დაახლოვებით მილიონ ტონა თევზს, რომლის ღირებულებაც 150 მილიონ მანეთს უდრის.

ევროპულ საბჭოთა რესპუბლიკებში თევზის სარეწავი შემდეგი რაიონებია: ვოლგა — კასპის, აზოვ-შავი ზღვის, ჩრდილო-თეთრი ზღვის; ყველაზე მდიდარი რაიონია ვოლგა—კასპის, რომელიც იძლევა მთელი დაჭერილი თევზის 50%.

აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ზღვები და მდინარენიც სავსეა თევზით. განსაკუთრებით ბევრია თევზი მდინარე-ამურში. ბერინგის, ოხოტის და იაპონიის ზღვების ნაპირებს 18000 კილომეტრი უჭირავს და თევზის სარეწავ უმდიდრეს ადგილს წარმოადგენს. შორეული აღმოსავლეთის სარეწავებში თევზის უდიდეს ნაწილს იაპონელები იჭერენ, ან შეისყიდიან ხოლმე რუსი მოსახლეობისაგან. იქ 34000 მუშაა და ამათში მხოლოდ 5000 რუსი.

მსხვილფეხა საქონელი, გარდა ხორცისა, მოსახლეობას აძლევს რძეს, კარაქს, ყველს.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას მრავალგვარი ჯიშის მსხვილფეხა საქონელია. ჩრდილო დვინის რაიონში, ვოლოგოდის და იაროსლავის გუბერნიებში ჰყავთ შესანიშნავი ძროხები, რომლებიც ძალიან ბევრს იწველიან.

ერბო იმდენი აქვს ს. ს. რ. კ., რომ საზღვარგარეთაც გადის. ამ ბოლო ხანებში გადის ყოველწლიურად 20 მილიონი მანეთის ერბო. ის უმთავრესად დასავლეთ ციმბირიდან გადის, სადაც ერბოს დამზადებამ ძალზე ფართო ხასიათი მიიღო. რ. ს. ფ. ს. რ. ევროპული ნაწილის ჩრდილო რაიონი—ვოლოგდის, ჩრდილო-დვინსკის და იაროსლავის გუბერნიები საუკეთესო კარაქს იძლევა საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის. ყველის ქარხნები არის ჩრდილო გუბერნიებში და კავკასიაში.

შინაური ფრინველი თითქმის ყველა გლეხს ჰყავს. უმთავრესად ქათმებს აშენებენ; გაცილებით უფრო ცოტაა ბატი და იხვი. უჯიშო ქათმები თითქმის უპატრონოდ და მოუვლელად არიან გლეხის მეურნეობაში მიტოვებულნი. მათთვის არც განსაკუთრებული ბინაა, არც საკვები. ამიტომ დედლები პატარები არიან და წელიწადში 70 კვერცხზე მეტს არ სდებენ. ამ ბოლო ხანებში ზოგან მოაშენეს ჯიშიანი ქათმები, რომელნიც სამჯერ სჯობიან უჯიშო ქათმებს როგორც ხორცის ხარისხის, აგრეთვე კვერცხის დების მხრივ. საქართველოში მიწათმოქმედების კომისარიატი ზრუნავს ამ საქმეზე და აჯამეთში ჰყავთ საუკეთესო ჯიშის ქათმები, რომლების წიწილებსა და კვერცხებს აწვდიან მოსახლეობას.

ყოველწლიურად იზრდება კვერცხისა და დაკლული ქათმების საჭიროება ჩვენს კავშირში. კვერცხი საზღვარგარეთაც გააქვთ. ომამდე გადიოდა 25.000 ვაგონი კვერცხი, რაც 100 მილიონი მან. ღირდა.

საბჭოთა კავშირში შაქარი შაქრის ჭარხლიდან კეთდება. შაქრის ჭარხლის პლანტაციების ცენტრში

არის შაქრის ქარხნები, სადაც კეთდება შაქრის ფხვნილი, ვინაიდან ჭარხალი მალე ფუჭდება და მისი შენახვა, ან სხვა ადგილს წაღება არ შეიძლება. შაქრის წარმოების უმთავრესი ადგილია უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა, აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. ზოგიერთი გუბერნია — კურსკის, ვორონეჟის, ორლოვის, ტამბოვის და ტულის.

საქართველოში, როგორც ირკვევა, ძალიან კარგად იხეირებს შაქრის ჭარხალი. ხელისუფლებამ უკვე მიიღო ზომები და სანიმუშოდ, საცდელად უკვე დათესა ჭარხალი გორის რაიონში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მალე საბჭოთა საქართველოს თავისი შაქრის ქარხანა ექნება.

შაქარი-რაფინადი მზადდება შაქრის ფხვნილიდან რაფინადის ქარხნებში. ეს ქარხნები არ არის დაკავშირებული შაქრის ჭარხლის რაიონებთან და ამიტომ ისეთ შორეულ ადგილებშიც კი არის, როგორიცაა ლენინგრადი, მოსკოვი და სხვა პუნქტები. 1926 წელს შაქრის ქარხანა 148 იყო. იქ დამუშავდა 1.036.000 ტონა შაქარი. ჩვენი შაქრის მრეწველობა მექანიზაციის მხრივ ძალზე ჩამორჩება ამერიკისას. მაგალითად, 1000 ბერკოვეცი ჭარხლის გადამუშავებას ჩვენში სჭირდება 384 კაცი, ამერიკაში კი 45. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ღონეს ხმარობს და საშინელი სისწრაფით მიაქანებს ჩვენს კავშირს წინ ინდუსტრიალიზაციის გზით, რაც უდაოდ მოწმობს მას, რომ მეფის დამქაშების მიერ მოთენთილ-მოდუნებული ქვეყანა სულ მალე ბრწყინვალე გამარჯვებას იდღესასწაულებს ყველა ფრონტზე.

სელი ერთწლიანი მცენარეა; მას ძალიან გრძელი ბოჭკო აქვს. სიმაღლით სელის ღერო 1 მეტრამდე აღწევს. როდესაც ჰყვავის, სელს მტრედისფერი ყვავილები ასხია, რომელნიც შემდეგ პატარ-პატარა კოლოფებად იქცევიან. თითო კოლოფში რამოდენიმე მარცვალია; თუ სელი ბოჭკოსთვის დათესეს, მას მოჰკრეფენ, როგორც კი გასცვინდება ყვავილი და ღეროს ქვემო ნაწილი გაყვითლებას დაიწყებს. როდესაც სურსთ მიიღონ არა მხოლოდ ბოჭკო, არამედ თესლიც, სელს მაშინ ჰკრეფენ, როდესაც მთელი ყანა ყვითელ-მწვანეა, ხოლო თავები, სადაც თესლია, რუხი. სელს შემდეგნაირად ჰკრეფენ: რომ არ გადაამტვრიონ ბოჭკო და რაც შეიძლება გრძელი იყოს ის, სელს ფესვიანად სთხრიან, შემდეგ პატარ-პატარა კონებად ჰკრავენ და სდგამენ მწკრივად—წინასწარ გამოსაშრობად.

წინასწარ გამოშრობას შემდეგ სელს აცლიან თესლს: ან ნამგლით მოსჭრიან, ან განსაკუთრებული მანქანით (რომელსაც სელის სალეწავი მანქანა ეწოდება), ანდა რტყმევით ამის შემდეგ სელს ალბობენ.

დამბალ სელს შემდეგ აშრობენ. როდესაც ის კარგად გამოშრება, ღეროს კანი ადვილად ტყდება, ბოჭკო კი კვლავ მოქნილია. სელის კანის მტვრევას სელის დაზელვა ეწოდება და განსაკუთრებული საზელი მანქანებიც არსებობს. საზელი მანქანა ხელისაც არის. დამტვრეულ-დაზელილი კანი მაინც ბოჭკოზეა და, რომ მოაცილონ, ამიტომ მას სჩეჩენ.

თუ სელის შინ დამუშავება უნდათ, მას რკინის ჯაგრებით და ხის სავარცხლებით ვარცხნიან, შემდეგ კი ქსოვენ.

ის უძველესი კულტურული მცენარეა. მისი მოყვანა-დამუშავება ფართოდ იყო გავრცელებული ძალიან ბევრ ქვეყანაში 2000 წლის წინათაც.

ამჟამად სელი მოჰყავთ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, კავკასიაში და დასავლეთ ციმბირში. იმ რაიონში, სადაც შავი მიწაა, არის სელის განსაკუთრებული ჯიში, რომლის თესლი ზეთის გამოსახდელად უნდათ. უფრო ჩრდილოეთით კი, აგრეთვე ტობოლსკის გუბერნიაში სთესენ სელის განსაკუთრებულ ჯიშს, რომელიც ძალიან გრძელ ბოჭკოს იძლევა.

ძალიან ბევრი სელი ითესება ბოჭკოსთვის ვიატკის, პსკოვის, ტვერის და სმოლენსკის გუბენიაში.

1925 წელს სელი იყო დათესილი 1.374000 დესეტინაზე, აქედან კი 563000 დესეტინა სელის იმ ჯიშს ეჭირა, რომელიც ბოჭკოს იძლევა. ამ წელს 16 მილიონი ფუთი სელი მოვიდა. გლეხები წლიურად საოჯახო საჭიროებისათვის ხმარობენ 4 მილიონ ფუთს, ფაბრიკებს სჭირდება 7,5 მილონი ფუთი. 1925 წელს საზღვარგარეთ გაიზიდა 52 მილიონის სელი.

სელისაგან ფაბრიკებში ამზადებენ სუფრებს, სალფეთქებს, პირსახოცებს, ტილოს თეთრეულისთვის, სასარჩულე ქსოვილებს, ტომრებს და სხვ. სელის ქსოვილს ხმარობენ ფეხსაცმელის სარჩულად, მისგან აკეთებენ სახანძრო მილებს, თასმებს, ძაფს, სათევზაო ბადეებს, მანქანების ღვედებს. ფაბრიკები აუარებელ სელის ტომარას ამზადებენ ფქვილისათვის, ხორბლისათვის, მწვანილისათვის და სხვა საქონლისათვის.

საბჭოთა კავშირს სელის მრეწველობის მხრივ მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს, პირველი კი ინგლისს (ინგლისს აქვს 54.000 მანქანა, საბჭოთა კავშირს—16.000).

დასავლეთ ევროპის სელის მრეწველობა მით განირჩევა, რომ იქ სელის მომყვანი კი არა ამუშავებს სელს, არამედ ქარხნები, რაც ფრიად ხელსაყრელია: მიწისმუშა მთელ ყურადღებას იმას აქცევს, რომ რაც შეიძლება კარგად დაამზადოს სელისათვის მიწა, საუკეთესო თესლი შეარჩიოს, კარგად მოუაროს ნათესს და საუკეთესო ბოჭკო მიიღოს. მეორე მხრით, სელის დამმუშავებელი მთელ ყურადღებას აქცევს სელის საუკეთესოდ დამუშავებას (დალბობას, გაშრობას, დაზელვას და დაჩეჩვას).

სელის მრეწველობა თანდათან ვითარდება. გერმანიამ ომის დროს 130 მექანიკური ქარხანა ააშენა სელის პირველადი დამუშავებისათვის.

სელის მოსავალი ჩვენში გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაგ. ბელგიაში დესეტინაზე მოჰყავთ 54 ფუთი, ჩვენში—20 ფუთი. დასავლეთ ევროპაში სთესენ საუკეთესო ჯიშის სელს, რომელიც წვრილ და გრძელ ბოჭკოს იძლევა, საშუალო და დაბალი ხარისხის ბოჭკოს კი საზღვარგარეთი საბჭოთა კავშირიდან იწერს. ჩვენში სელის მოყვანა—დამუშავების საქმე თანდათან ვითარდება და უფროდაუფრო მეტ შემოსავალს აძლევს მშრომელთა სახელმწიფოს.

შ. ფარცხნალელი

ᲙᲘᲜᲝ

ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠ ᲠᲝᲚᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ხშირად გინახავთ კინო-სურათებში, რომ ერთიდაიგივე მსახიობი თამაშობს ორ როლს ერთსადაიმავე დროს. ისინი დგანან ერთიმეორის გვერდით და ესაუბრებიან, ან ხელს ართმევენ ერთმანეთს და სხვა. მაგალითად, სურათ „ორი მოქიშპე"-ში, სადაც ამერიკის გამოჩენილი კინო—მსახიობი ქალი მერი პიკფორდი თამაშობს როგორც დედის, ისე ვაჟიშვილის როლს და ორივენი ხვდებიან ერთმანეთს ერთ ოთახში და ერთმანეთს ესაუბრებიან და სხვა. ეს ამბავი ხდება შემდეგნაირად: კინოგადამღები აპარატი ფარავს გადაღების დროს კინო—ლენტის ნახევარ მხარეს და განაგრძობენ ამრიგად გადაღებას, მხოლოდ შემდეგ კი ხურავენ გადაღებულ ლენტს და იღებენ მეორე მხარეზე. ამრიგად მსახიობს, რომელიც იღებდა მონაწილეობას კინო—ლენტის პირველი ნახევრის გადაღების დროს, შეუძლია ითამაშოს მეორე ნაწილის გადაღების დროსაც; ასეთი მუშაობის დროს საჭიროა დიდი მათემატიკური გამოანგარიშება, რომ სისწორით იქნეს დაცული მანძილი ურთიერთ შორის, როგორც მსახიობების, აგრეთვე გადამღები აპარატის. საერთოდ ასეთი მოვლენის დროს მუშაობა ძნელია როგორც მსახიობის, ისე ოპერატორისა და რეჟისორისთვის.

„ᲛᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘ"

გინახავსთ კინო-სურათებში, რომ გაქანებული მატარებელი გადაცდენია ლიანდაგს ან და ჩატეხია ხიდი აფეთქების და რაიმე მიზეზის გამო და დაღუპულა? ვინაიდან ასეთი მოვლენის ასრულება სინამდვილეში შეუძლებელია, ან რომ შესრულდეს ძალიან ძვირი დაჯდება, ამისათვის ესა თუ ის წარმოება არ გაიმეტებს შესაფერ თანხას,—ამის მიღებას შემდეგნაირად აწყობენ: ავიღოთ ერთ-ერთი მომენტი: ბოროტმოქმედნი აფეთქებდენ უზარმაზარ რკინის ხიდს, რომ მატარებელი გადაიჩეხოს; ამისთვის მოქმედებენ შემდეგნაირად: პირველად გადიღებენ მომენტს, როდესაც ბოროტმოქმედნი ალაგებენ ნამდვილ ხიდზე ასაფეთქებელ მასალებს და გაჰყავთ პატრუქი, რომლითაც უნდა ააფეთქონ; მატარებელი უახლოვდება ხსენებულ ხიდს. ბოროტმოქმედნი პატრუქს ცეცხლს უკიდებენ და გარბიან; მატარებელი ხიდზე შედის. აქ გადამღებ აპარატს შეაჩერებენ და მიმართავენ შემდეგ ხერხს: არის მინიატურულად გაკეთებული ზემოხსენებული ხიდის „მოდელი", რომელზედაც მექანიკურად გაუშვებენ პატარა ხელოვნურად გაკეთებულ ორთქლმავალს და რონოდებს; ხიდი (მაკეტი) აფეთქდება და ორთქლმავალი და რონოდები იღუპებიან; ყველა ამის შემდეგ შეაერთებენ ორ ზემოხსენებულ გადაღებულ ნაჭერს, რაც სტოვებს ნამდვილი ხიდისა და მატარებლის აფეთქების შთაბეჭდილებას.

ასეთივე სურათებით შეიძლება გადაღება მრავალი ძველი ციხე-კოშკის. საჭიროების დროს აშენებენ პატარა ზომის ციხეს, რომელიც სტოვებს უზარმაზარი შენობის შთაბეჭდილებას. აქ მოყვანილი სურათის მაგალითით შეგვიძლია დავამტკიცოთ, თუ როგორ შეიძლება პატარა „მაკეტი" გვეგონოს თვალმიუწვდენელი კოშკები და სიმაგრეები. როდესაც გადამღები აპარატი გადიღებს საერთო სურათს ასეთი შენობისას, მერე იღებენ ცალცალკე ნაწილებად როგორც ალაყაფის კარებს, აგრეთვე ოთახებს, ფანჯებს, კიბეებს და სხვას, რომლებიც სულ ცალცალკე შენობებს წარმოადგენენ და სინამდვილეში ერთიერთმანეთთან არავითარი საერთო არ აქვსთ, მხოლოდ ყველას შეერთების დროს სტოვებს შთაბეჭდილებას უზარმაზარ ერთ მთლიან შენობისას, რომლის სურათია მოცემული ზემოხსენებული მაკეტის სახით. ასეთივე ხერხებით შეიძლება ხანძრის გადაღება; რომელიმე ძვირფასი და დიდი შენობის მაგიერ შეიძლება დასწვან უბრალო პატარა მოდელი იმავე შენობისა, რაც სტოვებს სინამდვილის შთაბეჭდილებას; ან და საჰარის თვალმიუწვდენელ უდაბნოს მაგიერ იღებენ რამოდენიმე მინიატურულ პალმას და ორარშინიან „მაკეტს", რომელიც დასტოვებს სრული უდაბნოს შთაბეჭდილებას და მაყურებელი ვერ ამჩნევს ვერავითარ განსხვავებას საჰარის სილიან თვალმიუწვდენელ მოედანსა და პატარა მაკეტის სიდიდეს შორის. შეიძლება აგრეთვე უზარმაზარი ნიუიორკიც ან სხვა რომელიმე ქალაქის ქუჩების გადაღება ზემოხსენებული ხერხებით, 10 და 15 სართულიანი სახლებით, მომავალი მანქანებით, რომლის „მაკეტები" კეთდება სპეციალურად, და თითოეული 10 და 15-სართულიანი სახლის სიმაღლე შეიძლება არ აღემატებოდეს 2 ან 3 არშინს და მაყურებელს კი ეგონება ნიუიორკის უზარმაზარი ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იზრდება ვეებერთელა გოგრა.

„მოსავლის დღის“ გამოფენაზე ხშირად ნახავთ და გაგაოცებთ ვეებერთელა გოგრები. ძალაუნებურად გსურს იცოდე, სად და როგორ იზრდება ამოდენა, თითქმის 30—40 კილოგრამის წონის გოგრა.

ჩვენ აქ მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საკუთარი ცდით ადამიანის წონის ოდენა გოგრის გაზრდა, თუკი იქნება ამ საქმისადმი ინტერესი და სურვილი.

იმ ადგილებში, სადაც ზაფხული ცხელი და ხანგრძლივია, გოგრის დათესვა შეიძლება პირდაპირ ბოსტანში, მაგრამ უფრო ცივ და მწირ ადგილებში საჭიროა მიწის განსაკუთრებულად დამუშავება და გოგრის ნერგების განსაკუთრებულად თესვა და გაზრდა. ნერგების ზრდისთვის საჭიროა რამოდენიმე საყვავილე ქოთანი, კარგი ნოყიერი და ფხვიერი მიწა და შერჩეული თესლი. ჩათესვა მოხდება ამგვარად: ქოთანს აავსებთ მიწით და მიგ ჩაფლავთ რამოდენიმე თესლს, მორწყავთ ოდნავ თბილი წყლით და ისეთ ადგილას შედგამთ, სადაც საკმაო სითბო და სინათლე იქნება.

საქმე ისაა, რომ გოგრა სითბოსმოყვარული მცენარეა, ტროპიკული ქვეყნის მცენარეთა ჯიშისაა. ამიტომ, რომ თესლი ჩქარა ამოვიდეს, საჭიროა ქოთნები დაიდგას ღუმელის მახლობლად, დაეხუროს თავი შუშის ნატეხით, მაგრამ გოგრის ზრდისათვის საჭიროა დიდი სინათლე, ამიტომ, როგორც კი მიწიდან ამოიწვერება იგი, საჭიროა დაიდგას იგი ყველაზე სინათლიან ადგილას. ქოთანში მიწა არ უნდა გაშრეს, რომ ნორჩი მცენარე არ ამოხმეს. იგი უნდა ირწყვებოდეს იმგვარად, რომ ქოთანში სოვლდებოდეს მთელი მიწა, არ უნდა იქნეს დავიწყებული ისიც, რომ ხშირად რწყვას შეუძლია გააფუჭოს მცენარე.

იმისდა მიხედვით, რამდენადაც მცენარე წამოიზდება, ქოთანში უნდა ემატოს თანდათან მიწა. თითოეულ ქოთანში უნდა დატოვოთ თითო მცენარე, ყველაზე უფრო ჯანსაღი.

ნერგის ბოსტანში გადარგვა.

ბოსტანში ნერგის გადატანა შესაძლებელია მაშინ, როცა მცენარე საკმაოდ წამოიზრდება და თან არ იქნება ყინვის საშიშროება.

ადგილი, სადაც უნდა გადირგას გოგრის ნერგები, უნდა [illegible] ბოსტნის ისეთ მხარეს, სადაც სინათლე და [illegible]ისაგან მყუდრო ადგილი [illegible]ება. დაბალი და ნესტიანი ადგილი გამოუსადეგარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მიწა გაპოხიერებული უნდა იქნეს დამწვარი ნეხვით. გოგრა კარგად ხარობს ძველ სანაგვე ადგილებზე.

თუ გსურთ, რომ ნაყოფი მეტად დიდრონი იყოს, ამისათვის საჭიროა ასე მოიქცეთ: ადრე გაზაფხულისას გადააბრუნოთ მიწა იმ ადგილას, სადაც გოგრა უნდა მოირგას; გოგრა საზოგადოდ ფართოდ იშლება და დიდ ადგილს იკავებს თავის გარშემო, ამიტომ ნერგებიც ერთმანეთზე $1^1/_2$—2 მეტრის მანძილზე უნდა იქნეს დაცილებული; თან ის ადგილები, სადაც ისინი გადაირგება, წინასწარ უნდა გააპატივოთ. ქოთნიდან ნერგების გადატანა უნდა მოხდეს მიწასთან ერთად, რომ მცენარეს ფესვები არ დაუზიანდეს. ამიტომ ქოთნიდან ნერგებს ფრთხილად იღებენ და წინასწარ ამოთხრილ ორმოში რგავენ, რის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ბეჯითად რწყავენ; ასეთ პირობებში გოგრა ჩქარა და ნაყოფიერად იზრდება. გოგრის მოვლა შემდეგ მუშაობას მოითხოვს: ზედმეტი ყლორტების ამოჭრას, მორწყვას, განოყიერებას და მიწის გაფხვიერებას.

გოგრის მოზრდილი ტოტები მიწაზე უნდა გაშოლტო და განსაკუთრებული ჯოხებით დაამაგრო, რომ ამით დაიცვა ქარისაგან და თან მალე მოიდგას ფესვები და მეტად ისაზრდოოს.

გოგრის თითოეულ მცენარეზე დატოვებული უნდა იქნეს ოთხი ნაყოფი, მაგრამ თუ უკანასკნელი გსურთ რაც შეიძლება დიდი გაიზარდოს, არ უნდა დატოვოთ ორზე მეტი. დანარჩენი კი უნდა ამოსჭრათ მაშინვე, როგორც კი ვაშლის ოდენა გახდება. მას შემდეგ კი, რაც დატოვებული იქნება ორი ნაყოფი, სხვა დანარჩენი წამოზრდილი ყვავილები თუ ნაყოფები უნდა იჭრას, რომ ამით უზრუნველყოთ დატოვებული გოგრების ზრდა. ნაყოფი რომ არ დაინესტოს და არ გაფუჭდეს, საჭიროა მათი ფიცრებზე შეწყობა.

გოგრის ზრდის დროს საჭიროა აგრეთვე მათი გამაპოხიერებელი ნივთიერებით რწყვა.

ასეთ ნივთიერებას კი წარმოადგენს საქონლის ნეხვის ან ქათმის სკლინტების წყალში გახსნილი სითხე, რომლითაც ფრთხილად უნდა მოირწყოს მცენარის ძირები, ისე რომ არ დაისვაროს ფოთლები და სხვა.

ბოსტნიდან გოგრის აღაგება ხდება მაშინ, როცა იწყება პირველი ყინვები და გოგრის ფოთლების ჭკნობა. ნაყოფი ფრთხილად უნდა შეინახოთ.

ყველაზე საუკეთესო გოგრის თესლი მომავალი წლისათვის უნდა შეინახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ ა დ რ ა კ ი.

შამათი ლაზიერით ეტლის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში შამათი აუცილებელია, მაგრამ ძნელია. სუსტი მხარე უნდა ცდილობდეს ეტლი მეფეს არ დააშოროს, თორემ ამისთანა შემთხვევებში ეტლი სულ მალე იკარგება: ლაზიერს შეუძლია ქიში გამოუცხადოს მეფეს და იმავე დროს ეტლსაც დაემუქროს. სუსტი მხარის მეფე სიშორის გამო ვერ იფარავს ეტლს და ეს უკანასკნელი იკარგება (იხ. დიაგრ. № 1). ასეთ მდგომარეობაში თუ სვლა თეთრებისაა, ეტლი უწყალოდ იკარგება პირველ დაკვრაზევე: ლ a 2—a 7+; ამ პუნქტიდან ლაზიერი e 3-ზე მდგარ ეტლსაც ემუქრება. შავებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი წუთით გაუგრძელონ ეტლს სიცოცხლე. . . . . .



დიაგრამა № 1.

ე e 3—e 7, რასაც მოჰყვება ლ a 7 : e 7+, შემდეგ შამათი უკვე ადვილია.

ეტლის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაზიერს მეფე უნდა ეხმარებოდეს. მოგვყავს შესაფერი მაგალითი (იხ. დიაგრ. № 2).

წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ მდგომარეობაში პირველი სვლა შავებს ეკუთვნით და ასე ითამაშეს:

1. . . . . ე c 6—d 6+
2. მ d 4—e 4?? ე d 6—e 6+!

რასაც ლაზიერის დაკარგვა მოსდევს და, მაშასადამე, თეთრების წაგებაც, როგორც ეს ზემოთ ნათქვამიდან ვიცით. ამიტომ ეტლთან ბრძოლის დროს თეთრები ძალიან უნდა ფრთხილობდენ, რომ მეფე და ლაზიერი ერთ ჰორიზონტალზე ან ვერტიკალზე არ დასხან.

ახლა დავიწყოთ წინა მაგალითის გარჩევა:

1. მ d 4—d 5 ე c 6—c 7
2. ლ e 1—h 4+ მ d 8—d 7
3. ლ h 4—h 7+ მ d 7—d 8
4. ლ h 7—h 8+ მ d 8—e 7
5. ლ h 8—g 7+ მ e 7—d 8
6. ლ g 7—f 8+ მ d 8—d 7
7. ლ f 8—a 8 ე c 7—c 8
8. ლ a 8—a 7+ ე c 8—a 7
9. ლ a 7—b 8

შავებს მოფიქრება სჭირიათ: მეფეს ერთი გზა აქვს (e 7), რასაც ეტლის დაკარგვა მოსდევს. ხოლო თუ ეტლით დაემუქრა ლაზიერს c 7—c 8, მაშინ ლაზიერი d 6-დან ქიშს ეტყვის, შავ მეფეს მარჯვნივ გააგდებს და თავისი მეფის დახმარებით ეტლს შეუჭამს. ამიტომ შავების მორიგი სვლა ეტლით განზე გასვლაა.

9. . . . . ე c 7—c 1
10. ლ b 8—d 6+ მ d 7—c 8

ახლა თეთრებმა ლაზიერი და მეფე ერთ ჰორიზონტალზე რომ დასტოვონ (მაგალითად, გააკეთონ სვლა მ d 5—d 4), შავები d 1-დან ქიშს გამოუცხადებენ, ლაზიერს მოუკლავენ და თამაში უშედეგოდ დამთავრდება.



დიაგრამა № 2.

11. ლ d 6—h 6 ე c 1—d 1+
12. მ d 5—e 5 ე d 1—d 7
13. ლ h 6—f 4 ე d 7—c 7
14. მ e 5—d 5 მ c 8—b 7
15. ლ f 4—b 4+ მ b 7—c 8
16. მ d 5—d 6 ე c 7—a 7
17. ლ b 4—c 5+ მ c 8—b 8
18. ლ c 5—b 6+ ე a 7—b 7
19. ლ b 6—d 8+ მ b 8—a 7
20. მ d 6—c 6

ახლა მეფემ რომ ითამაშოს, შამათი იქნება: . . . მ a 7—a 6, რასაც მოჰყვება ლ d 8—a 8×. მაშასადამე, საჭიროა სვლა ეტლით, მაგრამ თუ ეტლით b 8 უჯრა დაიჭირა, მაშინაც ლაზიერი d 8—a 5 სვლით შამათს გაუკეთებს. ამიტომ საჭიროა ეტლი განზე გავიდეს.

20. . . . . ე b 7—b 2
21. ლ d 8—a 5+

მეფეს მხოლოდ ერთი გზა ღა აქვს, რასაც ეტლის დაღუპვა მოსდევს.

21. . . . . მ a 7—b 8
22. ლ a 5—e 5+ მ b 8—c 8
23. ლ e 5 : b 2

და თეთრები იგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული), „პიონერი“-ს და „ნაპკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტ № 1031. შეკვ. № 1025. ტირაჟი 1000.